ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 6 დეკემბერი, 2023 №240 (9276) ფასი: 80 თეთრი

გიორგი ღოღობერიძე: „ნუ ხარჯავთ ამაში ფულს, არ გჭირდებათ...“

გვ.5

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კეზერაშვილი ნაცმოძრაობას ივანიშვილის დაკვეთით შლის?!

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ქართული ოცნება“ ცდილობს, ზურაბიშვილს რეიტინგი დაუგდოს, მაგრამ ვერ ახერხებს“

გვ.3

ირაკლი კობახიძე: „ნაცმოძრაობა იშლება და ჩვენი დაკვირვებით, ეს არ არის შემთხვევითი, მგონია, ეს დავალებაა, რომელსაც ასრულებს კეზერაშვილი“

შალვა ხაჭაპურიძე: „ოცნება“ იქამდე იქნება ხელისუფლებაში, სანამ თვითონვე არ მოსწყინდება სათავეში ყოფნა“

„ფარცხალაძეზე სამართალდამცავები არაფერს ამბობენ და ჟურნალისტები ხომ არ დააკავებენ?!“

გვ.2

მამუკა გიორგაძე: „საქართველოში კონკურენტული საარჩევნო გარემო არ არსებობს“

„აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმთან დალაპარაკება ნიშნავს, რომ ამ რეჟიმს აღიარებ“

გვ.4

ძალადობის ფაქტზე დაკავებულია დაცვის პოლიციის ინსპექტორი

გვ.3

გვ.7-8

კვარას გოლი სერიალში საუკეთესოა

ამბები აფხაზეთის ომიდან

გვ.5

ძმებმა კორძაიებმა საკუთარი სახლ-კარი სეპარატისტებს ხელში არ ჩაუგდეს და თვითონ გადაწვეს

მედიცინა

გვ.5

რევმატიზმის მკურნალობა

2 ანი წითლიძე: „ვნუხვარ, რომ ამ ადამიანებისთვის უფრო მეტი ავტორიტეტი აღმოჩნდა ნიკა მელია, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი“

6 სტოლტენბერგი: დაეხმარეთ უკრაინას!

4 ლევან დავითაშვილი: „პურზე ფასი არ გაიზრდება“

6 ამერიკელი დიპლომატი კუბის აგენტია?!

1993230720223

„ფარცხალაძეზე სამართალდამცავები არაფერს ამბობენ და ჟურნალისტები ხომ არ დააკავებენ?!“

შალვა ხაჭაპურიძე: „ოცნება“ იქამდე იქნება ხელისუფლებაში, სანამ თვითონვე არ მოსწყინდება სათავეში ყოფნა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? როგორც იურისტი, საინტერესოა თქვენი შეფასება, რა ნორმებში ჯდება, როდესაც ადამიანი ძებნილია, ჩამოერთვა საქართველოს მოქალაქეობა, მოლალატედ და კგბ-ს აგენტადაა გამოცხადებული და მაინც უპრობლემოდ კვეთს საქართველოს საზღვარს. ფარცხალაძეს ვგულისხმობ.

– არც კი ვიცი, რა გითხრათ. ვიცით, რომ ამერიკამ სანქციები დაუწესა, თან ბრალი დასდო საკმაოდ მძიმე კატეგორიის დანაშაულში. ამის შემდეგ სუსისგან მოვისმინეთ, რომ დავიწყეთ გამოძიებაო. მეორე დღეა საქართველოშია ფარცხალაძე და ჩამოსვლის მიზეზი არ ვიცით ჯერ. იქნებ სულაც დაკითხვაზეა დაბარებული. ვნახოთ, გამოჩნდება.

– გაქვთ იმის მოლოდინი რომ ფარცხალაძეს დააკავებენ?

– არა მგონია, რომ დააკავონ. დაკავება რომ უნდოდეს ვინმეს, არც გაუშვებდნენ. ამერიკულ მხარეს, როგორც ჩანს, სამხილები, მყარი მტკიცებულება აქვს, მაგრამ ჩანს ისიც, რომ ჩვენ ხელისუფლებას არ ენდობიან და მასალებს არ უგზავნიან. ძალიან რთულია კომენტარი და შეფასება გააკეთო, როცა არ გაქვს სრული ინფორმაცია. მით უმეტეს, როდესაც საკითხი ეხება სამართალს.

– დაკითხვაზე თუ დაიბარებენ?

– ქართული მხარე აცხადებს, რომ ჩვენ არანაირი მტკიცებულება არ გაგვაჩნიაო. მტკიცებულების გარეშე კი დაკითხვაზე რატომ დაიბარებენ და, მით უმეტეს, რატომ დააკავებენ?! დიდ გაუგებრობაში ვართ. მოკლედ, რაც ქართული სახელმწიფოა, ზუსტად იმნაირი სიტუაციაა. შერეკილების მეორე სერია გვაქვს. სამართალდამცავები არაფერს ამბობენ და ჟურნალისტები ხომ არ დააკავებენ?!

– რამდენიმე დღეში კანდიდატის სტატუსს ველოდებით, რამდენად ცუდი საყურებელია გარედან ეს ყველაფერი? იგივე ევროპისთვის და ამერიკისთვის? გვეუბნებიან, რომ ეს კაცი კგბ-ეს აგენტია, ღალატობს ქვეყანას, დავასანქციერეთ და ამ დროს ჩვენი სამართალდამცავები თავისუფლად უშვებენ ქვეყნიდანაც და მერე ისევ თავისუფლად კვეთს საზღვარს და ბრუნდება უკან.

– გითხარით, რომ შერეკილების მეორე სერიას ვიღებთ. ახლა მსგავსი სიტუაცია უნდა მოგიყვეთ, გუშინ მქონდა სწორედ სასამართლო



„რაც ქართული სახელმწიფოა, ზუსტად იმნაირი სიტუაციაა. შერეკილების მეორე სერია გვაქვს გადასაღები“

პროცესი. ერთ-ერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, მეუღლე ჰყავს ქართველი, ჰყავთ შვილი, ეწევა აქ ბიზნესს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადმოაგზავნა მოთხოვნა, რომ დააკავეთ და გადმომიგზავნეთ, ექსტრადაცია გაუკეთეთ ამერიკაში, მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილიო. გუშინ იყო სასამართლო პროცესი და მოსამართლე ნანა შამათავას ვეუბნები, ქალბატონო ნანა, როგორ უნდა დააპატიმროთ თქვენ ეს კაცი, რა ნამუსით? როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დააანქცირა ქართველი მოსამართლეები და ამ მოსამართლეებიდან, ერთი მოქმედი მოსამართლეა, ერთი არის თქვენი ლიდერი, როგორც თავად აცხადებს, მურუსიძე და ერთიც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც თქვენ ექვემდებარებით. არც გაუშვით ეს მოსამართლეები, არც არანაირი ზომებს მიმართეთ, პირიქით გამოვიდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ბოდიში მოიხადოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმაო. ამ ფონზე არ გრცხვენიათ, ეს კაცი როგორ უნდა დააპატიმროთ-მეთქი? რა თქმა უნდა, არ შერცხვა. ვინც მათიანია და მაფიის წევრია, მათ არაფერი ეხება, არ ეხება არც ფარცხალეძეს და სხვას ეხება ყველას. როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ. სადაც გინდა იჩივლე, რაც გინდა, გააკეთე. არაფერს აზრი არ აქვს.

– ძალიან მძიმედ გვაქვს საქმე სასამართლო სისტემაში?

– მეტი რომ არ შეიძლება, ისე მძიმედ. აგერ ორ ცოცხალ მაგალითზე ვსაუბრობთ, რაც ამ წუთებში ხდება და მეტი მძიმედ რაღა უნდა იყოს?! დასანქცირებული მოსამართლეები, საექსტრადაციო პატიმრობას უფარდებენ და ამერიკაში აგზავნიან მოქალაქეს. რაღაც კოშმარში ვართ. რაღაც უნდა მოხდეს აუცილებლად, რაც გადატეხავს ამ სიტუაციას!

– რა უნდა მოხდეს? რას იტყვით შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე? ყოფილი პრემიერი გამოდის და აცხადებს, ყველაფერს ვიტყვი, როგორ მდიდრდება ქვეყანაში მხოლოდ 20-25 ოჯახი, გაზრდილი ეკონომიკის ხარჯზეო. რა ინფორმაცია აქვს, უნდა თქვას გახარიამ?

– მე ვერ დავეთანხმები გახარიას. სად გვაქვს ეკონომიკა?! არანაირი ეკონომიკა არ იზრდება. ეკონომიკა კი არ იზრდება, არამედ რუსეთის მოქალაქეების შემოდინების ხარჯზე გაიზარდა ეკონომიკა. ახლა ეს რუსებიც გაედინებიან, იმხელა ფასები დაახვედრეს აქ, რომ მიდიან, აღარ ჩერდებიან. შესაბამისად, ჩვენი ეკონომიკაც ჩაიფუშა და დაბრუნდა იქ, სადაც იყო. უეკონომიკო და უყველაფრო ქვეყანა ვართ! გახარიას კიდევ თუ რამე აქვს სათქმელი, აქამდე ეთქვა, რამდენი ხანია უკვე დატოვა თანამდებობა და აღარაა პრემიერ-მინისტრი. ალბათ გამოვა და იტყვის, რაც აქვს სათქმელი. გახარიამაც რომ არ თქვას, ყველამ ყველაფერი ვიცით, რაც ამ ქვეყანაში ხდება.

– რა მოლოდინი გაქვთ? რამ უნდა გადატეხოს ეს ვითარება?

– ქვეყანაში პოლიტიკურ სიტუაციას ქმნიან პოლიტიკური პარტიები. რას ელოდება ოპოზიცია?! თუ ჰგონიათ, რომ სახლში მიაკითხავს ვინმე ოპოზიციას, წაიყვანს და ხელისუფლებაში დასვამს, ძალიან შემცდარან.

– ვისმენთ შეფასებებს, რომ ძალიან მძიმე სიტუაციაა ოპოზიციაში. ნაციონალურ მოძრაობას რაც დაემართა, ყველა ვხედავთ. რატომ მივიდნენ აქამდე?

– რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ის ლიდერის გარეშეა დარჩენილი და როცა პარტია ლიდერის გარეშე რჩება, სწორედ ამ სიტუაციაში ვარდება. თავის თავი გასჭირვებია ნაცმოძრაობას, მაგრამ დანარჩენი ოპოზიციური პარტიები? ან ისინი რა დღეში არიან? ყველა 5%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემის წინაშე დგას. სად წაიღო ამდენი რესურსი ოპოზიციამ? მაგ რესურსით მთებს გადაატრიალებდა კაცი, „ოცნებას“ კი არა! დღევანდელი ოპოზიცია კი „ქართული ოცნებისთვის“ არანაირ საფრთხესა და საშიშროებას არ წარმოადგენს.

– რა სჭირთ? რატომ ვერ ქმნიან პოლიტიკურ ამინდს?

– უნიჭოები არიან, ან შეკრულები არიან ხელისუფლებასთან.

– ბიძინას თამაშს თამაშობენ?

– არ ვიცი, ვინ რას თამაშობს. მე ვხედავ, რომ შედეგი არანაირი არ არის. სააგენტოებად არიან ოპოზიციური პარტიები გადაქცეული. მივლენ ოფისში, ჩაატარებენ ბრიფინგს და დაიშლებიან. ასე პოლიტიკა არ კეთდება. რაღაც შემთხვევითობა თუ შეცვლის ამ სიტუაციას. გაერთიანდეს ოპოზიციაო, გვესმის და მარტო გაერთიანება რას უშველის? ნულს პლუს ნული, არის ნული! გამოვიდნენ და ხალხს დაელაპარაკონ. დღეს ოპოზიციის სალაპარაკოა მხოლოდ ერთი, ბიძინამ ეს გააკეთა, ფარცხალაძემ ეს ქნა, კობახიძე ამას ამბობს და ვისმენთ ამ ერთი და იგივეს. „ოცნება“ უქმნის დღის წესრიგს. გამოვა ხელისუფლებიდან ვიღაც, იტყვის რაღაცას და მთელი დღე მერე ვისმენთ ოპოზიციისგან ამაზე განცხადებებს. ესაა პოლიტიკა?! რა უნდა გავაკეთოთო, მკითხეთ, ადგეს ოპოზიცია და ამოიღოს იმ პერიოდის მასალები, მე რომ სააკაშვილს ვიცავდი, აი, იქ ნახავენ, თუ როგორ უნდა შექმნა მოვლენა. აქედან აიღონ მაგალითი. ჩავუტარებ ტრენინგებს ამ თემაზე.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ მთელი მსოფლიო მარტო სააკაშვილზე ლაპარაკობდა. უკრაინის ომი და მიშა, ეს ორი თემა იყო ყველგან.

– დღეს მიშაზეც რომ აღარ ლაპარაკობენ?

– ვის ახსოვს მიშა. სააკაშვილი სჭირდებათ იმისთვის, რომ მის უკან რეიტინგი დგას.

– სააკაშვილი ახსენეთ და ბოლო პერიოდია ვისმენთ განცხადებებს, რომ მიშას რუსთავში გადაყვანას უპირებენ. გაქვთ ამაზე ინფორმაცია?

– უამრავი ჭორი დადის. ზოგი ამბობს, პირიქით, გაშვებას უპირებენო. იქაც არ ასვენებენ ამ კაცს. თავიანთ პოლიტიკურ რეიტინგებს უკავშირებენ სააკაშვილს. დაჭერილია ეს კაცი, შეეშვით. თქვენ საქმეს თქვენვე მიხედეთ. მოსწონთ, არ მოსწონთ, ფაქტია, რომ სააკაშვილი რეიტინგებით მაინც ამათზე მაგარია. ციხეში ზის და მაინც მოვლენებს ქმნის. ამ ოპოზიციის ხელში „ოცნება“ იქამდე იქნება ხელისუფლებაში, სანამ თვითონვე არ მოსწყინდება სათავეში ყოფნა“.

ანი წითლიძე: „ვწუხვარ, რომ ამ ადამიანებისთვის უფრო მეტი ავტორიტეტი აღმოჩნდა ნიკა მელია, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი“

– ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ადამიანებისთვის უფრო მეტი ავტორიტეტი ამ პარტიაში აღმოჩნდა ნიკა მელია, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი. მაშინ ამ ადამიანებს არ სცოდნიათ ვის პარტიაში იყვნენ, – ასე ეხმაურება ენმ-ის დეპუტატი და ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე ენმ-დან ზუგდიდის საკრებულოს ფრაქციის დეპუტატების წასვლას.

როგორც წითლიძე ამბობს, ეს ადამიანები პარტიიდან ბოლო 1 წელია ისედაც წასულები იყვნენ, არ ემორჩილებოდნენ პარტიის გადაწყვეტილებებს და დღეს წასვლა ოფიციალურად გააფორმეს:

– ძალიან ვწუხვარ ასევე, რომ მათთვის არაფერს ნიშნავდა მიხეილ სააკაშვილის განცხადებები, მიხეილ სააკაშვილის საჯარო მოწოდებები და მათ შორის, პირადი მოწოდებები და პირადი კომუნიკაცია ამ ადამიანებთან და არაფერს არ ნიშნავდა ის, რომ ციხეში მჯდომ პრეზიდენტს არაერთხელ უკეთებია მათ შორის განცხადება იმაზე, რომ პარტიაში, რომელსაც წარმოადგენს თვითონ, არანაირი არაფორმალური მმართველობა არ არსებობს. – თქვა წითლიძემ.

სალომე სამადაშვილი: „სირცხვილია, რომ შალვა პაპუაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეა...“

– ბატონ მაჭარაშვილს ვურჩევ, ცოტა მეტი იკითხოს. კითხვა რომ არ უყვარს, ვიცი. ერთხელ წიგნი ვაჩუქე პარლამენტში მათ ფრაქციას და მოისროლა, უკან მესროლა, – ასე მიმართა „ლელოს“ დეპუტატმა, სალომე სამადაშვილმა „ხალხის ძალის“ წევრს, გურამ მაჭარაშვილს, რომელიც ოპოზიციას ურჩევს, „ნაკურთხი წყალი დალიოს, რომ საშინელებათა ფილმები, ვითომ ორბანი ეჩხუბება ევროკავშირს, აღარ ნახოს სიზმარში.“

სამადაშვილმა გურამ მაჭარაშვილს ურჩია, თუ წიგნს არ კითხულობს, „მისთვის მშობლიურ რუსულ ენაზე“ პრესას მაინც გაეცნოს.

– წერა-კითხვის მოყვარულები რომ არ არიან „ხალხის ძალაში“, მესმის, მაგრამ მაინც უხერხულია, ადამიანი საჯაროდ საუბრობდეს და სრულიად უმეცარი იყოს. ვურჩევ, პრესას მაინც გაეცნოს, წიგნებს რომ არ კითხულობს, მესმის. ევროპულ პრესას რომ გაეცნოს, რომელიც ითარგმნება მათთვის მშობლიურ, რუსულ ენაზე და რუსულად შეუძლიათ წაიკითხონ, გაიგებს, რომ დღეს ევროკავშირის მთავარი პრობლემა არის უნგრეთი, – განაცხადა სამადაშვილმა.

მისი თქმით, 15 დეკემბერს ყველა პოზიტიურ გადაწყვეტილებას ელოდება კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, უნგრეთის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული.

– ჯერ ვერ ჩამოყალიბდა პუტინისა და „ქართული ოცნების“ მოკავშირე, ვიქტორ ორბანი, დაუჭერს თუ არა გაფართოების პაკეტს მხარს. „ქართული ოცნებაც“ ამ პროპაგანდას ავრცელებს, რა შუაშია უკრაინასთან მოლაპარაკებების დაწყება საქართველოსთვის სტატუსის მინიჭებასთანო.

ევროკავშირი იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, გაფართოების შესახებ დოკუმენტი არის ერთიანი, სადაც ყველა ქვეყანა თითო ნაბიჯს დგამს წინ. ეს არის ევროკავშირის პოლიტიკური მიდგომა.

„ქართული ოცნება“ ძალიან ხშირად კითხულობს, რატომ გვეძახით პრორუსებსო. აი, ამიტომ გეუბნებით, რომ რუსეთის მოკავშირეები ხართ და რუსებს ემსახურებით. ქართველ ხალხს ატყუებთ, რომ მთავარი მოკავშირე არის ვიქტორ ორბანი. ჩვენ დიდი ხანია ვამბობთ, რომ ორბანი არის, რეალურად, პუტინის მოკავშირე. ახლა აღმოჩნდა, რომ სწორედ პუტინის მოკავშირე უქნის ყველაზე დიდ საფრთხეს ჩვენი ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

– სირცხვილია, რომ შალვა პაპუაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეა და ამდენი სისულელის საჯაროდ საუბარი უბრალოდ უხერხულობას მიქმნის.. მინდა, რომ პარლამენტს ცოტა ღირსეული თავმჯდომარე ჰყავდეს, თუნდაც სხვა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდეს.. უბრალოდ, უხერხულია, იმდენი სისულელე გვესმის მისგან, – განაცხადა სამადაშვილმა.

მან, ასევე, „სიბრიყვე“ უწოდა შალვა პაპუაშვილის განცხადებას, რომ რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლას საფრთხე არ შეუქმნია.

– მორიგი სიბრიყვეა. უბრალოდ, სახიფათოა, როდესაც ასეთი ბრიყვი არის ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე. ეს არის ქვეყნისთვის სახიფათო. რეალობა არის ის, რომ საქართველოში გასული წელიწად-ნახევრის მანძილზე, რუსეთის მოქალაქეების მიერ ათობით ათასი ბიზნესი დარეგისტრირდა.

შალვა პაპუაშვილი რუსეთის წარმომადგენელია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კი არა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ჰქვია და რუსეთს ემსახურება, მათ შორის ფარცხალაძეს. ფარცხალაძესაც ალბათ, ქვეშევრდომად მიაჩნია პაპუაშვილი, კობახიძე და სხვები, – განაცხადა სამადაშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – ელარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

ძალადობის ფაქტზე დაკავებულია დაცვის პოლიციის ინსპექტორი

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, მეუღლის მიმართ ძალადობის ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს ინსპექტორი დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 1969 წელს დაბადებულმა სამართალდამცველმა, 2023 წლის 4 დეკემბერს, ქ. ბათუმში, ა.აბაშიძის ქუჩაზე, გაჩერებულ ავტომობილში, ეჭვიანობის ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტის დროს, ფიზიკურად იძალადა მის მეუღლეზე და სხეულის სხვადასხვა არეში დაზიანებები მიაყენა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებული ქალისგან დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, მტკიცებულებების მოპოვება მყისიერად უზრუნველყო, რის საფუძველზეც სამართალდამცავი ორგანოში ძალადობისთვის იქნა დაკავებული.

დანაშაული 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებულ სამართალდამცველს ბრალდება 48 საათში წარედგინება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე აგრძელებს გამოძიებას.

ავარია კახეთის გზატკეცილზე, სამი ადამიანი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა კახეთის გზატკეცილზე – სავარაუდოდ, დიდი სიჩქარით მოძრავი მსუბუქი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

შსს-ს ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა. სამივე მათგანი ავტომობილის მგზავრია. შემთხვევის ადგილიდან ვრცელდება კადრებიც, სადაც ჩანს, თუ როგორ უტარებენ დაშავებულებს პირველად სამედიცინო დახმარებას.

ავარია გორში, 1 ადამიანი გარდაიცვალა

ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გორში, იუსტიციის სახლის მიმდებარედ, მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა, გარდაიცვალა – ამის შესახებ ინფორმაციას რეგიონული გამოცემა „მოზაიკა" ავრცელებს.

თვითმხილველების ცნობით, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მამაკაცი კლინიკაში უგონო მდგომარეობაში მყოფი გადაიყვანა.

საგამოძიებო სამსახურმა, ნოემბერში, დიდი ოდენობით უაქციზო თამბაქოს ნაწარმის შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 25 ფაქტი გამოავლინა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში, საქართველოს მასშტაბით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 25 ფაქტი გამოავლინეს, რაზეც ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიეცა 24 პირი, მათგან დაკავებულია 12 პირი.

უწყების ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სხვადასხვა დასახელების, ჯამში 25.748 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება 150.000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

„კეზერაშვილი ნაცმოძრაობას ივანიშვილის დაკვეთით შლის?!"

ვახტანგ ძაბირაძე: „ქართული ოცნება" ცდილობს, ზურაბიშვილს რეიტინგი დაუგდოს, მაგრამ ვერ ახერხებს"

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ნაციონალურ მოძარობაში მიმდინარე მოვლენების კვალდაკვალ, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ის გახსნილია კიდევ უფრო ძლიერი გაერთიანების შესაქმნელად. როგორ გაიგეთ მისი ეს ნათქვამი?

– მიხეილ სააკაშვილის ყველა მცდელობა, პარტიის ერთიანობის შენარჩუნებისა თუ გამარჯვების პლატფორმის შექმნის, არის ფუჭი. დღეს, პოლიტიკური ელიტისთვის სააკაშვილი მნიშვნელოვან ფიგურას არ წარმოადგენს. მეტიც, სააკაშვილი ფიგურას არც ნაციონალებისთვის არ წარმოადგენს. ყველას თავისი ინტერესი აქვს. ხაბეიშვილს თავისი, მელიას – თავისი. არც ერთსა და არც მეორეს უფროსად სააკაშვილი არ სჭირდება. ხაბეიშვილის შემთხვევაში ცოტა სხვანაირად დგას საკითხი. იქ მთავარი კეზერაშვილი და მერაბიშვილია. თუმცა, ამომრჩევლისთვის ყველა სხვანაირად ლაპარაკობს და ილაპარაკებს, სრულიად გასაგები მიზეზებიდან გამომდინარე.

– ხმების მომტანი ისევ სააკაშვილია.

– რა თქმა უნდა!

– ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობის დანგრევა მიზანმიმართულად ხდება და ეს დავალებული აქვს კეზერაშვილს, რათა სხვა ძალების წამოწევა მოხდეს.

– თუ ეს ასეა, მაშინ ეს დავალება კეზერაშვილისთვის მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო მიეცა და კობახიძე ხომ ხვდება, ის ერთი კაცი ვინ შეიძლება იყოს?!

– ივანიშვილი?

– დიახ! კობახიძემ შეიძლება მართლა არ იცის, ასეთ რამეებს ივანიშვილი არ უთანხმებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეჭვობს, ვინ შეიძლება ეს დავალება მისცეს კეზერაშვილს. თუ რეალობაა რასაც კობახიძე ამბობს, მაშინ კეზერაშვილი სერიოზულ 'აჩუქარს მიიღებს. მაგალითად, მოუხსნიან ნასამართლეობას ან თავისუფლად ჩამოვა საქართველოში, ფულს ჩამოიტანს.

– ამ პროცესებმა შეიძლება ნაციონალური მოძრაობა ისე დააზარალოს, რომ არჩევნებში მეორე ადგილის აღება გაუჭირდეს?

– ნაციონალურ მოძრაობას თავისი ერთგული ამომრჩეველი ჰყავს. თუ პარტია ორად გაიყოფა, მათი ამომრჩეველიც გაიყოფა. თუმცა, ელექტორალურად ორი მყარი ჯგუფი არსებობს – ერთი, ნაციონალური მოძრაობის ერთგული ამომრჩეველი და მეორე – „ქართული ოცნების" ამომრჩეველი. ოპოზიციამ რაც უნდა მახარაძეები და ორჯონიკიძეები ეძახოს „ოცნებას", მისი ამომრჩეველი მაინც მას მისცემს ხმას და სხვას არავის. ასევეა ნაციონალების ამომრჩეველიც, თუმცა, ეს პროცესი მცირედ კორექტივს მაინც შეიტანს.

საქართველოში არჩევნებში მუდმივად ამომრჩევლის მილიონ-ნახევარი, მილიონ 600 ათასი იღებს მონაწილეობას. აქედან 500 ათასი მმართველ პარტიას აძლევს ხმას. დაახლოებით 350 ათასი – ნაციონალურ მოძრაობას. ამომრჩევლის დანარჩენი ნაწილი მოლოდინის რეჟიმშია. ამ ნაწილზე უნდა იმუშაოს ოპოზიციამ. თუმცა, დღევანდელი მოცემულობით თუ არაფერი შეიცვლება, მაშინ არჩევნებში პატიოსნად, ყოველგვარი ზედმეტი წვალების გარეშე, ერთი სიტყვით, გაყალბების გარეშე, ზუსტად ისე გადანაწილდება ხმები, როგორც წინა არჩევნებში.

– ისევ „ოცნება" გაიმარჯვებს?

– რა თქმა უნდა!

– კობახიძე ვარაუდობს, რომ არჩევნებამდე ორი-სამი თვით ადრე, სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგება და არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

– თუ ვინმეს შეუძლია იმ ამომრჩევლის მიმხრობა, რომელზეც გესაუბრეთ, სწორედ სალომე ზურაბიშვილია, მაგრამ ორი-სამი თვე ამისთვის ძალიან ცოტა დროა. ყველაზე ცოტა ხუთი-ექვსი თვე იქნება საჭირო. თუმცა, 24-საათიანი მუშაობა მოუწევს ზურაბიშვილს, რომ შედეგი დადოს. თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა რომ მიიღო გადაწყვეტილება, პოლიტიკაში შემოსულიყო, ერთი წელი ჰქონდა დრო. თან სულ სხვა ფინანსები და სულ სხვა რეიტინგი ჰქონდა, სწორი ხედვაც. შუა იმ წუთში გაკრიფა და არჩევანი შავსა და თეთრს შორის დააყენა. მოლოდინიც დიდი იყო.

– სალომე ზურაბიშვილი პოზიციებს იმყარებს?

– ნამდვილად იმყარებს. მისი რეიტინგი მზარდია და ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტში არ შეუშვეს. „ქართული ოცნება" ცდილობს, ზურაბიშვილს რეიტინგი დაუგდოს, მაგრამ არ გამოსდის, ვერ ახერხებს. თუმცა, რა იზამს და რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, დარჩება პოლიტიკაში თუ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პარიზში დაბრუნდება და მემუარებს დაწერს.

ირაკლი კობახიძე: „ნაცმოძრაობა იშლება და ჩვენი დაკვირვებით, ეს არ არის შემთხვევითი, მგონია, ეს დავალებაა, რომელსაც ასრულებს კეზერაშვილი"

– კეზერაშვილი არის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, ნაცვლად იმისა, რომ დააფინანსოს პარტიის გაძლიერება, სინამდვილეში, მიზანმიმართულად აფინანსებს პარტიის დაშლას, ამ კუთხით ის უბრალოდ, დავალებას ასრულებს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, არსებობს გეგმა, რომ ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი ხელოვნურად დაწიონ, რათა „კოლექტიური ნაცმოძრაობის" წევრი სხვა პარტიების რეიტინგი გაიზარდოს.

ნაცმოძრაობა იშლება და ჩვენი დაკვირვებით, ეს არ არის შემთხვევითი პროცესი. მე მგონია, რომ ეს არის დავალება, რომელსაც ასრულებს კეზერაშვილი. არის ასეთი გეგმა, რომ ნაცმოძრაობა ქვევით დაწიონ, რათა სხვა პოლიტიკური ძალა წამოწიონ წინ. სწორედ ამას უკავშირდება ნაცმოძრაობის თავმჯდომარის პოსტზე ისეთი ოდიოზური ფიგურის არჩევა, როგორიც არის ხაბეიშვილი. დანარჩენი პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია პარტიის დაშლასთან, მიზანმიმართული პროცესია, რომლის მიზანია, დაბლა დაწიონ პარტია ნაცმოძრაობა, რათა გააძლიერონ ნაცმოძრაობის სხვა ფრთა, რომელსაც არ ჰქვია ნაცმოძრაობა.

ძირითადად, ეს არის ბლოკი, რაზეც გვქონდა საუბარი. აქ შედიან სალომე ზურაბიშვილი, ნინო ლომჯარია, ხაზარაძე, გახარია, სავარაუდო ერთობა ასე გამოიყურება, თუმცა, პროცესი განწირულია წარუმატებლობისთვის. ნაცმოძრაობა არის ნაცმოძრაობა, კოლექტიური ნაცმოძრაობა რომელი პარტიებისგან შედგება ეს საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის. ამიტომ შესაკრებთა გადანაცვლებით, საბოლოო ჯამში, ვერაფერი ვერ შეიცვლება. ვერ შეიცვლება ის ჯამი, რასაც ჰქვია კოლექტიური ნაცმოძრაობა, რადიკალური ოპოზიცია, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მიხეილ სააკაშვილი: „დარწმუნებული ვარ, რომ ენმ უფრო გაძლიერებული და წელში გამართული გამოვა ამ პროცესებიდან"

ენმ-ში მიმდინარე მოვლენებს მიხეილ სააკაშვილი ეხმაურება და წერს, რომ პროცესიდან პარტია უფრო გაძლიერებული გამოვა:

– ალბათ, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ეს გზა უნდა გაევლო და დარწმუნებული ვარ, რომ უფრო გაძლიერებული და წელში გამართული გამოვა ამ პროცესებიდან.

მეც ბოლომდე ვარ ამ ბრძოლაში რუს ოლიგარქთან და რუსეთთან (ლავროვმა ამას წინათ, ევროპაში გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მომიძღვნა), ამიტომ მე ვიბრძვი საქართველოსთვის რუსებთან და მათ დამქაშებთან და არ მაინტერესებს შიდა ინტრიგები.

ყოველთვის გახსნილი ვარ სხვადასხვა ადამიანებისთვის და ჯგუფებისთვის კიდევ უფრო ძლიერი გაერთიანების შესაქმნელად, ან ახლავე „გამარჯვების კოალიციის" პლატფორმაზე, ან ცოტა უფრო გვიან, როცა ყველა მიხვდება, რომ ერთიანობას ალტერნატივა არა აქვს, – ნათქვამია მიხეილ სააკაშვილის განცხადებაში.

შეგახსენებთ, ენმ-ს ძველსა და ახალ მენეჯმენტს შორის ვითარება კიდევ ერთხელ მას შემდეგ გამწვავდა, რაც პარტიის მოქმედმა თავმჯდომარემ, ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ყოფილი თავმჯდომარე ნიკა მელია პარტიას აღარ წარმოადგენს. თავად მელიას ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

გეგა გეგეშიძე: „წარმოგიდგენიათ ელდარ კურტანიძის გაგდება? აი, როგორ წარმოგიდგენიათ?"

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, გეგა გეგეშიძე ამბობს, რომ ელდარ (ლუკა) კურტანიძე ყრილობიდან არავის გაუგდია.

– წარმოგიდგენიათ ელდარ კურტანიძის გაგდება? აი, როგორ წარმოგიდგენიათ? პრეზიდიუმის ყოფილი ვიცეპრეზიდენტის? ყველაფერი დაწვრილებით არის ჩვენს გვერდზე და შეგიძლიათ გაეცნოთ... შეგიძლიათ, გადაამოწმოთ, არაერთი ადამიანი ესწრებოდა, არანაკლები მსოფლიო ჩემპიონები, ერთი ადამიანი თუ დაადასტურებს, რომ მე გამარჯობის გარდა მაგისთვის სხვა რამე მითქვამს, არ ვიცი, – აბობს გეგეშიძე ფორმულას ეთერში.

30 ნოემბერს მსოფლიო ჩემპიონმა და პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა ლუკა კურტანიძემ ფეისბუქზე დაწერა, რომ ჭიდაობის ფედერაციაში გამართულ საანგარიშო ყრილობაზე დასწრების უფლება არ მისცეს. როგორც კურტანიძემ განმარტა, ფედერაციის პრეზიდენტმა, გეგე გეგეშიძემ მიანიშნა, რომ იქ ყოფნის უფლება არ ჰქონდა, რის შემდეგაც გასვლა სთხოვეს.

კურტანიძე ფედერაციის პრეზიდენტი 2012-დან 2014 წლამდე იყო. ის თანამდებობიდან ფედერაციის პრეზიდიუმმა გადააყენა.

2023, 6 დეკემბერი, №240

„აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმთან დალაპარაკება ნიშნავს, რომ ამ რეჟიმს აღიარებ“



მამუკა გიორგაძე: „საქართველოში კონკურენტული საარჩევნო გარემო არ არსებობს“

საარჩევნოდ შექმნილ სიტუაციასა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.

მარიამ მჭედლიშვილი

– პარლამენტში იხილება კანონპროექტი, რომლითაც პარტიების დაფინანსება (მათთვის შემოწირულობა) აეკრძალებათ იურიდიულ პირებს. გაუმჯობესებს თუ არა ეს საარჩევნო გარემოს?

– საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ბევრი რამის გაკეთებაა საჭირო. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ არ არსებობს ამის კონცეფცია, საარჩევნო გარემოს თემა კონცეპტუალურად არ განიხილება. არჩევნების წინ, როგორ წესი, ამოიჩემებენ ხოლმე ერთ ან რამდენიმე საარჩევნო საკითხს და მიდის მერე ამაზე შეჯახება და შუბლების რტყმევა. შეიძლება ამ საკითხებიდან რომელიმე მნიშვნელოვანიც არის, მაგრამ, როგორც გითხარით, ყველაფერს ეპიზოდურად უყურებენ და არა კონცეპტუალურად. პარტიების დაფინანსებაზე [illegible]კითხეთ. დაფინანსების სქემასაც ფართოდ [illegible]ნდა მივუდგეთ. მარტო იურიდიულ პირებში [illegible]რომ არ არის საქმე?! აუცილებელია ეფექტია[illegible] კონტროლი ადმინისტრაციული ფინანსე[illegible]ს გამოყენებაზე. მაგალითად, იმაზე, თუ [illegible]როგორ იყენებენ არჩევნებისთვის თანამდე[illegible]ობის პირები სამსახურის მანქანებს, ბენზინს [illegible]ა სხვა. კანონით შეზღუდვები დადგენილია, [illegible]აგრამ გასაკონტროლებელია, როგორ სრულ[illegible]ება ისინი. საერთოდ, პარტიებისთვის კონ[illegible]კურენტული გარემოს არსებობაზე საუბარიც [illegible]ზედმეტია.

– პოლიტიკური პარტიები ერთნაირ პირობებში არ არიან ჩაყენებული?

– რასაკვირველია, არ არიან. პოლიტი[illegible]კურ სუბიექტებს არ გააჩნიათ თანაბარი სას[illegible]ტარტო პირობები. წარმოვიდგინოთ დოღი ან [illegible]ბოლა. ერთი მონაწილე რომ სტარტის წინ 100 [illegible]მეტრითა და მეტით წინ დააყენო, ისეა პარტი[illegible]ების საქმე. საქართველოში ზოგიერთ პარტიას მინიჭებული აქვს კვალიფიციური პარტიის სტა[illegible]ტუსი. მათ საარჩევნოდ ეძლევათ უფასო საეთე[illegible]რო დრო, ისინი ფინანსდებიან ბიუჯეტიდან და ა.შ. სხვა პარტიები ამ სასათბურე პირობებს მოკლებული არიან. პარადოქსია, რომ კვალიფიციური პარტიებიც ლაპარაკობენ ხოლმე არჩევნების გაყალბებაზე. ამით ისინი ამტკიცებენ, რომ კვალიფიციური სუბიექტის სახელი დაერქვათ გაყალბებული არჩევნების შედეგების მიხედვით. კიდევ ბევრი საკითხია, სასამართლოში გასაჩივრებით დაწყებული, სიებით დამთავრებული.

იურიდიული პირების მხრიდან დაფინანსება არ არის მთავარი თემა. საქართველო ნამდვილად არაა ისეთი დემოკრატიული ქვეყანა, სადაც ბიზნესს შეუძლია დააფინანსოს ის პარტია, რომელიც მას მოსწონს. საქართველოში ბიზნესი თავისუფალი არ არის. ბიზნესი, ანუ იურიდიული პირი, აფინანსებს ან მმართველ პარტიას ან იმ პარტიას, რომელზეც მას ხელისუფლება მიუთითებს. საქართველოში ბევრი რამ ვერ დაიმალება. ყველა ყველაფერს იგებს. ისიც ვიცით, რომელ ე.წ. ოპოზიციურ პარტიას მიუღია შემოწირულობები.

საოცარია, რომ პარტიები, რომლებიც თავის თავს ოპოზიციურს უწოდებენ, ხმას არ იღებენ საარჩევნო სიებზე. თუ ვინმე ამაზე რაღაცას ამბობს, ზერელედ და სასხვათაშორისოდ. არადა, ეს სერიოზული პრობლემაა. საქართველოში არსებობს მოქალაქეთა სხვადასხვა სია. კერძოდ, შსს-ს ბაზა, ცესკოს ბაზა, [illegible]ევე, არჩევნების წინ გამოიფინება ხოლმე [illegible]არჩევნო სამაგიდო სიები. ეს სიები ერთმანეთს არ ემთხვევა. უბედურება ისაა, რომ სამაგიდო სიები ჩნდება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე. ესაა იმის მიზეზი, რომ ვერ ესწრება გასაჩივრება. დღემდე ვერ გავიგეთ, ზუსტად რამდენი ამომრჩეველია.

– ოფიციალური მონაცემები ქვეყნდება ხოლმე.

– მონაცემებს შორის სხვაობას რა ვუყოთ? ბოლო აღწერის მონაცემები და საარჩევნო სიები ერთმანეთს არ ემთხვევა. არსებობს 800.000-იანი სხვაობა. სად წავიდა ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი, უცნობია. საარჩევნო უბანზე საქართველოდან გასული ადამიანების სიები ცალკე უნდა იყოს. ბევრი საუბარია ელექტრონულ არჩევნებზე. არადა, ეს არჩევნები გაყალბებისგან არავის იცავს. ასე რომ, პრობლემა უამრავია. კონკურენტულ, თავისუფალ არჩევნებს ესაჭიროება კონცეპტუალური მიდგომა. ეს არ ჩანს. კონცეპტუალურად საერთოდ არაფერს უდგებიან. მაგალითად, აფხაზეთს. ზოგადად, ტერიტორიულ მთლიანობას.

– ამაზე საერთოდაც იშვიათად ლაპარაკობენ.

– ლაპარაკობენ ძირითადად საოკუპაციო ზოლზე, ბორდერიზაციაზე, ხანდახან ახსენებენ ოკუპაციას. არადა, ასეთი დამოკიდებულება ქმნის ნოყიერ ნიადაგს საქართველოს მოწინააღმდეგეებისთვის. კერძოდ, რუსეთის აგენტურისა და ავანტიურისტებისთვის. როცა სახალხო პარტია პარლამენტში იყო, ჩვენ მივაღწიეთ კონცეფციის დამტკიცებას აფხაზეთზე. მას შემდეგ ამგვარი დოკუმენტი, დოკტრინა, არ მიუღიათ.

– რამდენიმე დღის წინ გაიმართა საუბარი ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების მდივან სერგეი შამბასა და ვახტანგ ყოლბაიას შორის, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე და დეპუტატია. რუსულ წყაროებში განახლდა აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის თემა. არადა, ეს საქართველოს ხელისუფლებამ მაის-ივნისში გამორიცხა. როგორ აფასებთ ამ საუბარს?

– გავიმეორებ, რომ აფხაზეთზე უნდა გვქონდეს კონცეფცია. მისი არარსებობით ბევრი ისარგებლებს. შამბა-ყოლბაიას დიალოგი არის მონიშვნა.

– რას გულისხმობთ?

– უნდათ, საზოგადოება შეაჩვიონ იმას, რომ აფხაზეთი ცალკე სუბიექტია. აფხაზეთი არის საქართველოს ოკუპირებული რეგიონი, სადაც არსებობს მარიონეტული საოკუპაციო რეჟიმი. მარიონეტულ რეჟიმთან დალაპარაკება ნიშნავს, რომ ამ რეჟიმს აღიარებ და ცალკე სუბიექტად მიიჩნევ. ხელისუფლება კარგად სარგებლობს საზოგადოების ნაწილის სამართლებრივი უცოდინარობით და ხდება ვირეშმაკობების შემოპარება. ოკუპირებულ აფხაზეთში ყველა შეგუებულია ოკუპაციას. იქ ხანდახან რაღაცას აპროტესტებენ. მთლიანობაში, აფხაზებისთვის ოკუპაცია მისაღებია.

– აპროტესტებენ უმთავრესად ეკონომიკურ საკითხებს...

– ვინ წარმოადგენს მარიონეტულ რეჟიმს და ვინ – არა. ცხელი ომი მიმდინარეობს ისრაელსა და „ჰამასს“ შორის. ღაზაში მოსახლეობა კმაყოფილია „ჰამასით“. აფხაზეთშიც დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაა. იქ არსებული სიტუაცია მახინჯდება. ამიტომ ვამბობ, რომ უნდა იყოს კონცეფცია და ყველამ უნდა ვიმოქმედოთ ამის მიხედვით. საყვედური ამ მხრივ ყველა ხელისუფლებას ეკუთვნის. გამსახურდიას დროს მიღებული კანონით 3 ქართველის ხმა ერთი აფხაზის ხმას გაუტოლეს. ეს აპარტეიდული კანონი იყო. შევარდნაძემ გაგანია ომის დროს სოხუმიდან მძიმე ტექნიკა გამოიყვანა და ა.შ.

აუცილებელია საფუძვლიანი დოკუმენტი აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის შესახებ. აქტიური ოპოზიცია რატომღაც ამ საკითხებზე დუმს.

ეკონომიკა

„ვაჭრობის პირველმა დღემ მოლოდინს გადააჭარბა“ — რა რაოდენობის ოქრო გაყიდა ეროვნულმა ბანკმა

ოქროს ზოდებისა და სერტიფიკატების გაყიდვა ეროვნულმა ბანკმა ოფიციალურად უკვე დაიწყო.

როგორც სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია თურნავამ განაცხადა, ვაჭრობის პირველმა დღემ, გუშინ, მოლოდინს გადააჭარბა, რადგან უკვე გაყიდულია 60-მდე მცირე ზომის (20 გრამი) და ერთი – 1 კილოგრამიანი ზოდები.

– ეს არის ჩვენი ახალი ინიციატივა, გავითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ მსოფლიოში დღეს-დღეობით იზრდება მოთხოვნა ოქროზე, როგორც საინვესტიციო რესურსზე და შევთავაზეთ საქართველოში ნებისმიერ მომხმარებელს, შეიძინოს ორი ტიპის პროდუქტი, ერთი – ეს არის მცირე ზომის ზოდები (არსებობს 20-გრამიანი და 1 კგ-იანი ზოდები), ასევე, საბანკო სისტემის მეშვეობით, ე.წ ოქროს სერტიფიკატები, იგივე, ფასიანი ქაღალდი, რომლის წარდგენის შემდეგაც, ეროვნული ბანკი იგივე წონის ოქროს გასცემს.

ვაჭრობის პირველმა დღემ, გუშინ, მოლოდინს გადააჭარბა, 60-მდე მცირე ზომის ზოდი გაიყიდა და ერთი – 1კგ წონის ზოდი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სწორი ნაბიჯი იყო გადადგმული იმისთვის, რომ შევთავაზოთ დივერსიფიცირებული, როგორც დაზოგვის, ასევე ინვესტიციის საშუალება კლიენტს, ვისაც ეს დაინტერესებს“, – აღნიშნა თურნავამ.

ეროვნული ბანკის განმარტებით, მომხმარებელს ამ სერტიფიკატების განაღდება შეუძლიათ როგორც ფასიანი ქაღალდის სახით, ასევე სანაცვლო ოქროს ზოდის მიღების სახით.

როგორც სებ-ში განმარტავენ, 20 გრამის სერტიფიკატების სარეალიზაციო რაოდენობა იქნება – 100, ხოლო 1 კილოგრამის ზოდების სარეალიზაციო რაოდენობა იქნება 10 ცალი. აღნიშნული ზოდები დიდი ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანის The Royal Mint-ის მიერ არის ჩამოსხმული.

უცხოელები საქართველოში საყიდლებზე მთლიანი თანხის მხოლოდ 22%-ს ხარჯავენ

ეკონომიკური ზრდის შენელების ზოგადი ტენდენციები, გეოპოლიტიკური კონფლიქტები და ზეწოლა სამომხმარებლო ხარჯებზე – 2024 წელს ფუფუნების საქონლის გლობალური საცალო გაყიდვები შემცირდება, რადგან მომხმარებლები პანდემიის მერე ხარჯებს ამცირებენ – ასეთი დასკვნა ანალიტიკურმა ჯგუფმა McKinsey & Company გააკეთა.

საქართველოს მაგალითზე კი, ამ მხრივ სიტუაცია შედარებით განსხვავებულია, კერძოდ, საყიდლებზე დანახარჯებს ზრდიან როგორც საქართველოს მოქალაქეები უცხოეთში, ასევე უცხოელები საქართველოში. საერთო ჯამში, საქსტატის 2023 წლის სამი კვარტლის მონაცემებით, ქართველებმა უცხოეთში საყიდლებისთვის მთლიანი თანხის 41,22% დახარჯეს, ხოლო ამავე პერიოდში უცხოელების მიერ საქართველოში საყიდლებში დახარჯული თანხა თითქმის ორჯერ ნაკლებს, 22,04%-ს შეადგენს.

უფრო კონკრეტულად კი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მიმდინარე წლის სამი კვარტლის მონაცემების მიხედვით, უცხოელებმა საქართველოში საყიდლებში 751,1 მლნ ლარი დახარჯეს, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 382,3 მლნ ლარით მეტია, შარშან 3 კვარტალში საყიდლებზე დანახარჯებმა 368.8 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანმა ხარჯებმა კი 3,406 მლრდ ლარი შეადგინა.

რაც შეეხება საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების დახარჯულ თანხებს, 2023 წლის პირველ სამ კვარტალში მათ საზღვარგარეთ საყიდლებზე 203,3 მლნ ლარი დახარჯეს. 2022 წლის ამავე პერიოდში კი ეს რიცხვი 174,8 მლნ-ს შეადგენდა. ცნობისათვის, 2023 წლის სამ კვარტალში საქართველოს რეზიდენტების მიერ უცხოეთში მთლიანმა დანახარჯებმა 493,1 მლნ ლარი შეადგინა.

ცნობისთვის, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის უკანასკნელ განცხადებაში, მომავალ წელს საერთაშორისო ტურიზმი პანდემიამდელი პერიოდის შემდეგ პირველად, 90%-ით აღდგება. ორგანიზაციის მონაცემებით, აღდგენის ტემპი ყველაზე სწრაფი ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და აფრიკაში იქნება.

ლევან დავითაშვილი: „პურზე ფასი არ გაიზრდება“

– შეგვიძლია მკაფიოდ ვუთხრათ მოსახლეობას, რომ კომერციული გაზის ტარიფის ცვლილების გამო პურზე ფასი არ გაიზრდება, ამის არანაირი წინაპირობა არ არსებობს, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

მინისტრის თქმით, საზოგადოებისთვის ცნობილია „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული ეკონომიკური მაჩვენებლები, მათ შორის ინფლაციის მონაცემები და ერთ-ერთი ის მიმართულება, სადაც ფასები შემცირდა, იყო სასურსათო პროდუქტები.

– არც პურზე ველოდებით ფასების ზრდას, პირიქით, ეს წნეხი მოსახლეობას მოეხსნა, – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

როგორც ეკონომიკის მინისტრმა განმარტა, გაზის კომერციულ ნაწილში ხდება ფასის ცვლილება და ეს არ არის რეგულირებადი ტარიფი – ეს არის კომერციული სექტორი, რომელიც დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობპროდუქტების ფასებზე.

ბანკების მიმართ პრეტენზიები ისევ იზრდება

ბანკების მიმართ პრეტენზიები ისევ იზრდება. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, წელს, ოქტომბერში, კომერციული ბანკების მიმართ მომხმარებლების მხრიდან 2.685 საჩივარი დაიწერა, რაც არა მარტო წლის განმავლობაშია ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, არამედ, გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემსაც აჭარბებს. კერძოდ, 2023 წლის სექტემბერში, მათ მიმართ ჯამში 1.222 პრეტენზია დაფიქსირდა, ხოლო აგვისტოში – 1.635; რაც შეეხება წინა წლის ოქტომბრის მაჩვენებლებს, ბანკების მიმართ 1.658 საჩივარი დაიწერა.

ამავე მონაცემებით, ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, 2023 წლის ოქტომბერში, მომხმარებლების მხრიდან ყველაზე მეტი პრეტენზია სამომხმარებლო სესხებსა და მიმდინარე ანგარიშებზე დაფიქსირდა.

უფრო კონკრეტულად, პროდუქტების მიხედვით საჩივრების ხუთეული ასე გამოიყურება: სამომხმარებლო სესხი – 995 განაცხადი; მიმდინარე ანგარიში/სადებეტო ბარათი – 941 განაცხადი; საკრედიტო ბარათი – 153 განაცხადი; ინტერნეტბანკი – 80 განაცხადი; ბიზნეს სესხები – 41 განაცხადი.

პრეტენზიების შინაარსის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში შესული საჩივრებიდან ყველაზე მეტი – 916 განაცხადი ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე მოდის, შემდეგია ტრანზაქციები – 724 განაცხადით, მე-3 ადგილზეა ადმინისტრაცია/მომსახურება 534 საჩივრით და ა.შ.

ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2023 წლის ოქტომბერში 2.685 საჩივრიდან ბანკებმა 1.226 განაცხადი – უსაფუძვლოდ, 565 – საფუძვლიანად მიიჩნიეს; 890 განაცხადის შემთხვევაში განხილვა ისევ მიმდინარეობს. 4-ის შემთხვევაში განხილვა დასრულებულია, პრეტენზია მიჩნეულია საფუძვლიანად, თუმცა, პრობლემა არ არის აღმოფხვრილი.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ცხელი ხაზი ეროვნულ ბანკში 2011 წლიდან მოქმედებს. პრეტენზიების სტატისტიკაც ამის შემდეგ იწარმოება.

ძმებმა კორძაიებმა საკუთარი სახლ-კარი სეპარატისტებს ხელში არ ჩაუგდეს და თვითონ გადანვეს

ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან, რომელიც ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა, საუბარი აფხაზეთის დაკარგვის ბოლო ტრაგიკულ დღეებს შეეხება.

– 1992 წლის აგვისტოზე საუბრობთ?

– გაგრის დაცემის წინა დღეებზე, 1992 წლის სექტემბრის ბოლოს. 12 „არწიველი“ გაყოლია მამა-შვილს. გია ნუცუბიძე, აბიზიანა, კახელი, ბელი „არიოლოკ, სოსო ზარიძე (რიჟა), სუხიაშვილი და ბიჭები სიხარულით მიყვებიან. სადღაც, მოსახვევში, დაახლოებით 50-კაციანი, შეიარაღებული რაზმი დაინახეს „არწიველებმა“. „არ ისროლოთ, შეიძლება მარინაშვილის გამოგზავნილი ხალხია, გავარკვევთო“, – მამა-შვილი „გასარკვევად“ მიდიან რაზმთან (ეს ბზიფში ხდება). ვითომ გაარკვიეს. მოდით, ჩვენები არიან, ეპატიჟებიან ბიჭებს. რაზმის შუაში შევიდნენ ჩვენები. „გამარჯობათ!“, – რუსულად ესალმება ნუცუბიძე ვიღაც „ჯიგიტებს“. „გაგრელები ხართ?“. „არა, გუდაუთელი აფხაზები, ეს დატოვა“, ჩამოურაკრაკა ერთმა. ბიჭები მზად არიან სრკვდილისთვის, ახლა იმაზე ფიქრობენ, რამდენსაც „მოასწრებენ“, თან „წაიყოლონ“ მომხვდურები. უცებ კახელი რაციას იღებს (რომელიც არ მუშაობს, წყალია შიგნით ჩასული) და „იწყებს გამოძახებას“: „პირველი „გრუპა“ ალყაშია, მეორე მოემზადეთ, იმოქმედეთ!“ (რუსულად). გადამთიელების „ნაკრებს“ ჰგონიათ, რომ ბიჭები დიდი ძალით არიან მისულები, მეორე ჯგუფი „დაზღვევაზეა“ და გამოძახებისთანავე, საცაა შემოვარდება. სეპარატისტების რაზმში მყოფი მოჭიდავე (რომელიც ჩვენი სასახელო მოჭიდავის, თედიაშვილის ნამოწაფარი ყოფილა) რა გინდათ, ხომ არ გესვრით, დამშვიდდითო, ეუბნება ბიჭებს. ჩვენს ბიჭებს სასმელი აქვთ, იმათ სიგარეტი „ტემპი“. აფხაზი მოჭიდავე არძინბას იგონებს, მერე ერთმანეთს სცილდებიან. მამა-შვილი სეპარატისტებთან რჩებიან.

გვარდიელი გვემშვიდობება, ისევ ვაგრძელებთ გზას.

მუსიკის ხმა მესმის სიბნელეში. გზას მივყვებით. ხმა ახლოვდება. გზაზე გარდი-გარდმო წევს კაცი. სახე ყინულის ლოლუად აქვს ნაქცევი, გაყინული ხელით ტუჩის საკრავი უჭირავს და გაყინული ტუჩებით უკრავს. ბოლო აკორდი კვნესასავით აიღო კაცმა და ბოლო სუნთქვაც ამოაყოლა. მანქანიდან გადავდივართ, ისე ფრთხილად გადაგვყავს გზიდან, არ ეფშვნება გაყინული ძვლები.

ისევ მივღოღავთ ვილისით. ფეხი აღარ მაწუხებს, უბრალოდ, ველარც ვგრძნობ. ხშირად გვიწევს უკვე მანქანიდან გადმოსვლა და გაყინული ადამიანების გზის ნაპირისკენ გადატანა. ერთი სულ ახალგაზრდა გოგონაა, თხელი, პლისეს მოკლე ქვედა ბოლო და ბურთულებიანი გეტრები აცვია უფეხსაცმლო ფეხებზე. მიყინულ თმებს ფრთხილად ვუსწორებ ლამაზ შუბლზე. ბიჭები ხელში იყვანენ გოგონას, ცოტა ხანს ხელით მიჰყავთ მონაცვლეობით. ზოგიერთისთვის შვილის ტოლაა, ზოგისთვის უმცროსი დის. ჩორტიკას ყმუილი მესმის. მანქანიდან გადმოსული, ყინულის გროვად გადაქცეულ ახალდაბადებულ ჩვილს დასტირის. ლამისაა, ხელებით დავიგლიჯო სხეული, იქნებ ტკივილი გადავფარო. ხმამაღლა გადაშენებას ვუსურვებ არძინბას, რუსებს, ნახევრად ველურ კონფედერატებს და იმ ყველა ვაი ქართველს;

ჭუბერში ვიგებთ, ტყვიის გაუსროლელად ჩაბარებულია ოჩამჩირე და გალი იმ დროს, როცა გამსახურდია მიტინგს ატარებდა სამეგრელოში თავისი პრეზიდენტობის აღდგენის მოთხოვნით და აფხაზეთის დაბრუნებას რომ ჰპირდებოდა მომიტინგეებს.

ყვირილ-ღრიალი შემოგვესმა. ომისა და უღელტეხილის საშინელება გამოვლილი მეომარი ჭკუაზეა გადასული, ხელყუმბარით დასდევს თანამებრძოლებს. მასთან ახლოს მივდივარ. ვეძახი. ვეუბნები, ვინც ვარ. ვუახლოვდები. თვალს არ ვაცილებ. ვხედავ, ამღვრეული თვალები ულაგდება, ფოსოებში ჯდება, ეწმინდება. მასთან მივდივარ, მშვიდი საუბრით მიმყავს ხრამთან და ხელყუმბარას ხრამში ვაგდებინებ. ეს უკვე მეორედ მიწევს ასეთ სიტუაციაში მოხვედრა, როცა ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, ხელყუმბარიანი (საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი) კაცი უნდა გავანეიტრალო. თუმცა, წინა შემთხვევა სრულიად განსხვავებული იყო ოჩამჩირის შტაბში. იქ გავეშებული არაკაცი უნდა გამომეყვანა შტაბიდან (ხელში გახსნილი ხელყუმბარა ეჭირა) და გარეთ, ეზოში უნდა განეიტრალებულიყო (მაშინ ირაკლი ამირეჯიბი უფრო მძიმედ დაიჭრა ყუმბარის ნამსხვრევებით, მე მსუბუქად, ფეხში), ამ შემთხვევაში ნაომარი მეგობრებით, სოხუმის დაკარგვით დათრგუნული ბიჭი უღელტეხილზე დატრიალებულმა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შემხვედრმა ტრაგედიებმა გადაიყვანა ჭკუიდან.

პაკელიანები თავისთან მეპატიჟებიან. მორიდებით ვეუბნები უარს. კოცონთან ვრჩები, მერე სკოლის თუ საბავშვო ბაღის შენობაში შევდივარ ბიჭებთან ერთად და იატაკზე დაგებულ, გაყინულ ლეიბზე ვაწყობ გაყინულ ძვლებს.

ჭუბერიდან ქუთაისში ჩასულმა იოსელიანმა დანაპირები აასრულა: ერთმანეთის მიყოლებით მიფრინავდნენ საკენში ვერტმფრენები. ჭუბერშივე ვხვდები გია ვაშაკიძეს თავისი ბიჭებით. დააგვიანდათ.

– თქვენი ინფორმაციით, ჯარით და ტექნიკით გადაჭედილ ოჩამჩირეში რა ხდებოდა ოჩამჩირეს და გალის დაცემის დროს?

– ოჩამჩირეში დაცვის ხაზი მოშლილი იყო, არც გალში იყო უკეთესი მდგომარეობა. გარკვეული ნაწილები, ოჩამჩირის და გალის დაცვის მაგივრად, თბილისზე გამოლაშქრებას გეგმავენ, გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენას და მერე, ვითომცდა, აფხაზეთის დაბრუნებას.

მახო ხორგუანი, დათო ჟორჟოლიანი, გოჩა თორია და კიდევ ორი ბიჭი ველარ გამოვიდნენ ოჩამჩირიდან. ოხურეის პოსტთან ჩასაფრებულ სეპარატისტებს წაწყდნენ ჩვენები. ტანკის უკანა ნაწილი გაგლიჯა სეპარატისტების მიერ ნასროლმა ჭურვმა. გოჩა თორია მეგობრებთან ერთად იმ ტანკში იჯდა. მახო ხორგუანი და დათო ჟორჟოლიანი ჩაერთნენ ბრძოლაში, მიასაკლავეს მომხდურები, თვითონაც მოწყდნენ დაცხრილულები. ეს იყო ერთადერთი გაბრძოლება. მეტი შეტაკება არც ოჩამჩირეში ყოფილა, არც გალში.

დათო და შოთა კორძაიები ჭუბურხინჯში მიქანდნენ. მეზობლები და ოჯახის წევრები დაამშვიდეს, ჯარის და ტექნიკის ისეთი რაოდენობაა, 3-4 დღეს მაინც გავაჩერებთ, რომც შემოიჭრან რუსები, მერე სოხუმიდან გამოსულებიც შემოგვიერთდებიან და უკანვე გავრეკავთო. გალსა და ჭუბურხინჯს შორის არის „მზიური“. ინფორმაცია გავრცელდა, უკვე „მზიურში“ არიანო სეპარატისტები. დათომ ოტობაიადან ენგურის ხიდამდე გადაიყვანა დედა და მეზობლები. კორძაიების სახლიდან რუხის ხიდამდე 1,5 კმ-ია. რუხის ხიდთან, „ტეკთან“ ზვიადისტების პოსტია. ვერ გაივლიან ბიჭები იქ. შემოვლითი გზით, 50 კმ იარეს, ხიდის იქითა მხარეს გავიდნენ. არ მიყვებოდათ კორძაიებს მამა, ავტომატით დავხვდები რუსებს, ვიდრე არ მომკლავენ, სისხლად ვადენინებო აფხაზეთს. როგორც იყო, მოაშორეს სახლს.

საღამოს, 5 საათზე, ტექნიკის და მანქანების კოლონა აღმოსავლეთისკენ დაიძრა ოჩამჩირიდან. ჯარი ქალაქს ტოვებდა. 16-სართულიანიდან ბინოკლით, ზღვაში რუსების ტანკერები ჩანს. მოსახლეობა, როგორც ახერხებს, ისე გარბის. გალის ცენტრში ზვიადისტები დიდი მანქანის ძარიდან, ქუთაისელ მეომრებს ყრიან ძირს, იარაღს ართმევენ, ტანსაცმელს, უმოწყალოდ სცემენ. ენგურის ხიდთან მანქანებიდან ყრიან ოჩამჩირელებს, „ხუნტის“ მხარდამჭერები ხართო... რუხის ციხესიმაგრესთან შეჯგუფული, ავტომატიანი ხალხი ბრძანებას ელოდება. ბრძანების თანახმად, იპოდრომზე იკრიბებიან თბილისზე გასალაშქრებლად.

ბადრი კორძაია თბილისშია, მისი მეუღლე მეორე ბავშვს ელოდება; დათო და შოთა საკუთარ სახლთან დგანან. იციან იმ ბიჭების სიები აქვთ სეპარატისტებს ვაი ქართველებისგან მიწოდებული, ვინც რუსებს და სეპარატისტებს იარაღით ხელში ებრძვიან. ისიც იციან ბიჭებმა, გადაუწვავენ სახლ-კარს. არ მიანიჭებენ ამ სიამოვნებას სეპარატისტებს, გადაწყვეტილებას იღებენ ძმები. სახლში შედიან. პატარა ბექა კორძაიას აკვანი გამოაქვთ გარეთ, მანდარინებში დებენ ფრთხილად. სიყვარულით ეფერებიან, სახლისკენ მიდიან ისევ ათრეული ნაბიჯებით. პირველ სართულს შოთა უკიდებს ცეცხლს, მეორეს – დათო. უკან აღარ იხედებიან, ისე მოაბიჯებენ. ჯერ ტკაცუნი ესმით ბიჭებს, მერე ძლიერდება ხმა. გული ეფხრიწებათ ძმებს. სიმწრით უჭერენ ხელს ერთმანეთს, სიმწრით უჭერენ ხელს ავტომატებს. მოაბიჯებენ ბიჭები. სახლი და კერია აღარ აქვთ, მაგრამ აკვანი იქაა ბურჯად დარჩენილი.

ქართველი ვაჟკაცებისა და ქალების გამზრდელი აკვანი, ისევ ქართველი გოგო-ბიჭების მომლოდინე და მათ გასაზრდელად გამზადებული!

მედიცინა

რევმატიზმის მკურნალობა

– აიღეთ ერთი ჩაის კოვზი აბზინდას წვრილად დაჭრილი ბალახი, დაასხით ერთი ჭიქა ადუღებული წყალი, გაწურეთ, დალიეთ 1/3 ჭიქა სამჯერ დღეში.

2 სუფრის კოვზ აბზინდას წვრილად დაჭრილი ფესვებს დაასხით 0,5 ლიტრი ბურახი, ადუღეთ ნელ ცეცხლზე 5 წუთის განმავლობაში, გაფილტრეთ, მიიღეთ ლოგინში დაწოლილმა.

❖ ❖ ❖

რევმატიზმით დაავადებულმა ადამიანმა ხორცი თავიანთი კვების პროდუქტებიდან სრულად უნდა გამორიცხონ და ძირითადად გადავიდნენ ვეგეტაციურ საკვებზე. მიიღონ ახალი ხილი და ბოსტნეული. ძალიან ცოტა თევზი, ყველი და კვერცხი. დიეტის დაცვა აუცილებელია განსაკუთრებით მკურნალობის პერიოდში. სასურველია კვირაში ერთი დღე საერთოდ ვიშიმშილოთ.

❖ ❖ ❖

– ავიღოთ 200 გრამი მარილი და 100 გრამი მშრალი მდოგვი. დავუმატოთ იმდენი ნავთი, რომ მივიღოთ ფაფისებური მასა (ნავთი უნდა იყოს გაფილტრული) და შევიზილოთ კანში გაშრობამდე დაწოლის წინ.

❖ ❖ ❖

არყის ფესვებს ხანდახან ხარშავენ ადუღებულ წყალში (როგორც ჩაი ისე აყენებენ) და ავადმყოფს, აძლევენ დასალევად როგორც ჩაის. ასეთი სახის ჩაის მიღებისას გამოიყოფა დიდი რაოდენობით ოფლი.

❖ ❖ ❖

არყის ხის ფესვებისაგან მომზადებული მალამო კი ითვლება ყველაზე ძლიერ და ეფექტურ საშუალებად რევმატიზმების მკურნალობისათვის.

❖ ❖ ❖

ამ მალამოს მომზადება შემდეგნაირად შეიძლება: ავიღოთ სრულიად ახალი 800 გრამი ძროხის კარაქი. მოვათავსოთ თიხის ქილაში არყის ხის ფესვებთან ერთად (2 სმ სისქის კარაქზე 2 სმ სისქის ფენად არყის ხის ფესვები და ა.შ.) ფენებად. ქილას დავაფაროთ თავსახური. შემოვლესოთ გარშემო ცომით და დავდგათ 24 საათი ძალიან თბილ ადგილას (რუსულ ღუმელზე ან სხვა ამგვარ ადგილას). შემდეგ გამოვწუროთ კარაქი ფესვებიდან, დავუმატოთ ორი გრამი ქაფური და შევინახოთ ეს მალამო ცივ ადგილას კარგად დახურულ ჭურჭელში. ამ მალამოთი შევიზილოთ მტკივანი ადგილები არანაკლებ ერთხელ დღეში ძილის წინ.

ეს მალამო შველის ასევე წელის, ბეჭებისა და ფერდების ტკივილს.

❖ ❖ ❖

ფეხებზე რევმატიზმების დროს – შევკეროთ ფეხის ზომაზე ტომრები. მოვკრიფოთ არყის ხის ფოთლები და ჩავტენოთ ტომრებში. საღამოს, ძილის წინ ჩავყოთ მტკივანი ფეხი ტომარაში ისე, რომ ფოთლების სქელი ფენა ეხებოდეს მტკივან ადგილს ყველა მხრიდან. ფეხი ძალიან გაგვიოფლიანდება, თითქმის ისევე როგორც ორთქლის აბანოში. შუაღამისას ფოთლები უნდა გამოვცვალოთ, თუ ისინი ძალიან დასველდებიან, რამდენიმე ასეთი სეანსის შემდეგ ავადმყოფობა მთლიანად გაივლის.

გიორგი ღოღობერიძე: „ნუ ხარჯავთ ამაში ფულს, არ გჭირდებათ...“

ექიმი გიორგი ღოღობერიძე განმარტავს, რა იწვევს ყველაზე ხშირად კიდურებში დაბუჟების შეგრძნებას და რამდენად რეალურია კორონავირუსის დროს ამ ნიშნებით თრომბოზის განვითარების ვარაუდი:

– ბოლო პერიოდში ხელებში დაბუჟების შეგრძნება საკმაოდ გამოხატული გახდა. მიუხედავად იმისა, რა დიაგნოზი აქვთ, თითქმის ყოველთვის, როდესაც პაციენტებს ხელებში დაბუჟების შეგრძნება აქვთ, თუნდაც ეს იყოს კოვიდის შემდგომ, კოვიდის დროს ან მის გარეშე, ყოველთვის ჩატარებული აქვთ დე-დიმერის, პროთრომბინის რაოდენობისა და დროის განმსაზღვრელი ტესტი, კოაგულოგრამა და ასე შემდეგ.

როგორ უნდა მიხვდეთ, ხელებში დაბუჟების შეგრძნება თრომბოზის გამო გაქვთ თუ სხვა რა მიზეზია?

როდესაც კიდურებში წვის, დაბუჟების, ჩხვლეტის, ქავილის შეგრძნება გაქვთ, ამ ყველაფერს ექიმები პარესთეზიას ვეძახით, რაც მგრძნობელობის დარღვევას ნიშნავს. როგორც წესი, ის შემთხვევათა ძალიან დიდ ნაწილში გარდამავალია და გარკვეული დროის მერე აღარ შეგვაწუხებს. ამ პრობლემამ თავი განსაკუთრებით კოვიდის დროს იჩინა.

ძალიან ბევრ ადამიანს ეშინია, თრომბით ხომ არ არის გამოწვეული. როგორც წესი, კიდურებში დაბუჟების შეგრძნება არის შედეგი მდგომარეობისა, რომელსაც ჰიპერვენტილაციის სინდრომი ჰქვია. როდესაც კოვიდი გიდასტურდებათ, იმის გამო, რომ ნერვიულობთ, ნერვული სისტემა გერთვებათ და სუნთქვას ახშირებთ. სუნთქვა როგორც კი 20-ზე მეტს გასცდება წუთში, იმაზე მეტ ნახშირორჟანგს ამოისუნთქავთ, ვიდრე ნორმალურია. ამის გამო სისხლი ძალიან ტუტიანდება, თავისუფალი კალციუმის რაოდენობა ქვეითდება და სწორედ ეს იწვევს დაბუჟების შეგრძნებას. არაფერი გაქვთ საპანიკო. ეს კალციუმის რაოდენობის დროებითი დაქვეითების შედეგია, რასაც არანაირი ჩარევა არ სჭირდება. ნუ ხარჯავთ ამაში ფულს, არ გჭირდებათ არც დე-დიმერის და არც პროთრომბინის რაოდენობის განსაზღვრა. საკმარისია დამშვიდდეთ და დაბუჟების შეგრძნებაც თავისით ალაგდება რამდენიმე დღეში.

მაგრამ, რა გააკეთონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც დაბუჟების შეგრძნება ხანგრძლივი დროით აქვთ? თუ ხელები ან ფეხები გიბუჟდებათ, უნდა შეამოწმოთ:

პირველი შაქრიანი დიაბეტია. ეს არის წამყვანი მიზეზი ხელებისა და ფეხების ქრონიკული დაბუჟების. დილით, უზმოზე და საკვების მიღებიდან 2 საათის შემდეგ გადაამოწმეთ სისხლში გლუკოზის რაოდენობა. თუ შაქრიან დიაბეტს გამორიცხავთ, შემდეგი ეტაპი ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევაა. როგორც კი ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია დაითრგუნება, ასევე ვითარდება დაბუჟების შეგრძნება. ფარისებრი ჯირკვლის უკან გვაქვს 4 ჯირკვალი, რომლებიც ჩვენს სხეულში კალციუმის რაოდენობას არეგულირებენ.

თუ ეს ჯირკვლები თავის ფუნქციას ვერ შეასრულებენ, როგორც კი შემცირდება კალციუმის რაოდენობა, შეიძლება დაბუჟების შეგრძნება გქონდეთ. თუ ამ ყველაფერს გამორიცხავთ და ისევ გაქვთ დაბუჟების შეგრძნება, მაშინ, როგორც წესი, ამას მედიკამენტები იწვევენ. შეიძლება ვერც წარმოიდგინოთ, მაგრამ წნევის დამწევი წამლები დაბუჟების შეგრძნებას განაპირობებენ. ასევე, ხველის საწინააღმდეგო საშუალებები, ტკივილგამაყუჩებლები, რომლებსაც ხანგრძლივად სვამთ. თუ ისევ გრჩებათ დაბუჟების შეგრძნება და უკვე ჩამოთვლილი მიზეზები გამორიცხეთ, როგორც წესი, ის შეიძლება გამოწვეული იყოს 2 ძალიან ცნობილი ვიტამინის ნაკლებობით. ესენია: ვიტამინი ბე 6 და ბე 12. ორივეს შევსება ნორმალური კვებით შეიძლება. ბე 12 ხორცში, ხოლო ბე 6 მცენარეებშია ძალიან ბევრი. თუ ვიტამინები ნორმაში გაქვთ და მაინც გრჩებათ დაბუჟების შეგრძნება, მაშინ გაიხსენეთ, ხომ არ იღებდით ანტიბიოტიკებს. თუ ესეც გამორიცხეთ, მაშინ მძიმე მეტალების ვერსია რჩება, მათ შორის, ვერცხლისწყალი ასევე იწვევს დაბუჟების შეგრძნებას. ვერცხლისწყალი ჩვენ გარშემო ძალიან ბევრგანაა და ჩვენ მისით ვიწამლებით. თუ ესეც გამორიცხა, მაშინ დაბუჟების შეგრძნება შეიძლება გამოწვეული იყოს ძალიან იშვიათი დაავადებებით, როგორებიცაა, მაგალითად, გაფანტული სკლეროზი, სპინალური სტენოზი, თიაქრები და ასე შემდეგ. ჩემი რჩევა იქნება, რომ თუ კოვიდის პერიოდში დაბუჟების შეგრძნება გაქვთ, ის თრომბოზს არ დაუკავშიროთ. თრომბოზი ვითარდება არა ყველა პაციენტში, არამედ იმ ადამიანებში, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში არიან და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში წვანან. აქიდანაც მხოლოდ 3%-ს უვითარდება თრომბოზი.

შემთხვევათა 90%-ში თრომბოზი ქვედა კიდურებში ვითარდება და როგორც წესი, ცალმხრივია და ერთს დააზიანებს, ერთს – არა. შედარებაც შეგიძლიათ. მაგალითად, თუ თრომბოზი ხელებში გივითარდებათ, შეადარეთ და დაინახავთ, რომ როგორც წესი, ერთ-ერთი გასივდება, შუშუპდება, ფერს შეიცვლის და უფრო იისფერი გახდება. გარდა ამისა, იქნება მტკივნეული. როგორც კი ამ ნიშნებს დაინახავთ და ამის მერე, თუ გაგიძნელდებათ სუნთქვა, გექნებათ ტკივილის შეგრძნება გულ-მკერდში, თავბრუსხვევის განცდა, აგიჩქრდებათ გულისცემა და სუნთქვა ან გექნებათ სისხლიანი ხველა, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს.

ამერიკელი დიპლომატი კუბის აგენტია?!

აშშ-ის ყოფილი ელჩი ბოლივიაში მანუე როჩა კუბის აგენტი აღმოჩნდა. ამის თაობაზე იტყობინება „ამერიკის ხმა“.

მალე როჩა სასამართლოს წინაშე წარსდგება.

სტოლტენბერგი: დაეხმარეთ უკრაინას!

უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი გამოეხმაურა. მან განაცხადა, რომ თუ პუტინი უკრაინას დაამარცხებს, ამით მას მადა გაეზრდება და მოსკოვიც უკვე ბალტიისპირეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მიადგება.

– მივმართავ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, დაეხმარეთ უკრაინას! წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოყმანი ძალზე ძვირი დაგვიჯდება, – თქვა სტოლტენბერგმა.

დაბომბვები გრძელდება

პუტინის გეგმები, როგორც დონბასში, ისე უკრაინის სამხრეთში, ჩაიშალა. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია. ამან ოკუპანტების გააფთრება გამოიწვია. რუსებმა კვლავ დაბომბეს ავდეევკა, ხარკოვის ოლქი, ოჩაკოვი, ხერსონი. დანგრეულია სახლები. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

უკრაინელები მტერს არც ამჯერად დარჩნენ ვალში. მათ დაარტყეს დროებით ოკუპირებულ ლუგანსკს. შედეგად აფეთქდა ნავთობ-ბაზა. ხანძარი იმდენად ძლიერი იყო, რომ კარგა ხნის მანძილზე ვერ ჩააქრეს. დაიბომბა დროებით ოკუპირებული დონეცკის ცენტრიც, აგრეთვე ოკუპირებული ყირიმი, კერძოდ, ქალაქები სევსტოპოლი, ჯანკოი, სიმფეროპოლი.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 5.587;

საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 10.416;

არტილერია – 7.987;

თვითმფრინავები – 323.

განადგურებულია 333.840 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

15 წლის გოგონამ მამაკაცი ჯერ აცდუნა, შემდეგ კი დანით დაჭრა

მოზარდმა გოგონამ აცდუნა მამაკაცი, რომელიც ინტერნეტით გაიცნო, შემდეგ კი თავს დაესხა და შედეგად ციხეში ამოჰყო თავი.

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ჰლოი კოსტერმა 2020 წელს ონლაინ-ალტერ-ეგო, ჰოუპ მორგანი შექმნა. 15 წლის გოგონამ ამ სახელით გააბა მიმოწერა 35 წლის მამაკაცთან. მან თავისი ნამდვილი ასაკი არ გაუმხილა. შემდეგ კი არწმუნებდა, რომ მასზე იყო შეყვარებული და სურდა ცოლად გაჰყოლოდა. ამავე დროს სასამართლო საბუთების თანახმად, მათი ურთიერთობა ეფუძნებოდა მამაკაცის მიერ გოგონასთვის ძვირფასი საჩუქრების, აქსესუარებისა და ტანსაცმელების გაგზავნას. ასევე გოგონას „შეყვარებულის“ ტელეფონის ნომერი ჩაწერილი ჰქონდა „თავმომაბეზრებლის“ სახელით და ეს იმ დროს, როდესაც მამაკაცს მისი ნომერი „ჩემი ჰოუპის“ სახელით ჰქონდა ჩაწერილი.

ინციდენტის წინ გოგონა მამაკაცს სასტუმროში შეხვდა, 200 ფუნტი გამოართვა და გაიქცა. ის მოგვიანებით დაბრუნდა მამაკაცის მიერ ნაჩუქარი სამაჯურის წასაღებად, მაგრამ შემდეგ ისევ გაიქცა. 2021 წლის იანვარში გოგონა ტაქსით, რომლის ფული მამაკაცმა გადაიხადა, უილტშირის საგრაფოს ქალაქ სუინდონის სასტუმროში მივიდა. იქ მან „შეყვარებულს“ მოსთხოვა ტკბილეული, ფული და სამკაულები. პასუხად მამაკაცმა მას ჯიბეში კანფეტების შეკვრა ჩაუდო. გოგონა საჩუქრების მოსაძებნად ნომრის ჩხრეკას შეუდგა. ხოლო როდესაც ვერ იპოვა, გაბრაზდა, დანას დასტაცა ხელი და მამაკაცს თავს დაესხა. მან „შეყვარებულს“ ჭრილობები ხელში, ყურსა და თავზე მიაყენა. ამის შემდეგ კი მან მამაკაცს გაუმხილა, რომ სინამდვილეში 15 წლის იყო და დაემუქრა, რომ ამას საჯაროდ განაცხადებდა, თუ ის პოლიციას მიმართავდა.

დანით მიყენებული ჭრილობების გამო მამაკაცი იძულებული გახდა, დახმარებისთვის სამედიცინო დაწესებულებისთვის მიემართა, ხოლო მისი ჭრილობების ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც თავდასხმასა და ორთაბრძოლაზე მიანიშნებდა, ექიმებმა მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინეს. მათ საკმაოდ სწრაფად დააპატიმრეს კოსტერი. დაკითხვის დროს გოგონამ იცრუა.

მოსამართლე ჯეისონ ტეილორმა არ გაითვალისწინა გოგონას ჩვენებები. მან კოსტერს „ანგარებიანი და ეშმაკი“ უწოდა და ორი წლის განმავლობაში 150 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების შესრულება მიუსაჯა. გარდა ამისა, კოსტერმა უნდა გაიაროს სარეაბილიტაციო პროგრამა და ჯარიმის სახით ათასი ფუნტ სტერლინგი გადაიხადოს.

ქალაქიდროსკოპი

იტალიაში ბოტიჩელის დაკარგული ნახატი იპოვეს

იტალიის აღორძინების ხანის ოსტატის სანდრო ბოტიჩელის ნახატი იპოვეს, რომელიც 1980-იანი წლებიდან დაკარგულად ითვლებოდა. მას სამხრეთ იტალიაში მიაგნეს.

ქალაქ ნეაპოლის კარაბინერთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განყოფილების მონაცემებით, ნახატი, რომელზეც ღვთისმშობელი ჩვილ ქრისტესთან ერთადაა გამოსახული, ნეაპოლის მახლობლად, ქალაქ გრანიანოში, ბინაში იქნა ნაპოვნი. აღნიშნული ნაწარმოების მიახლოებითი ღირებულება იტალიის ხელისუფლებას 100 მილიონ ევროდ აქვს შეფასებული. ის მხატვარმა 1470 წელს რომის კათოლიკური ეკლესიის შეკვეთით დახატა.

ბოტიჩელის ნამუშევარი, რომლის ზომები 58-80 სანტიმეტრზეა, 1900-იანი წლებიდან ნეაპოლის გარეუბანში სანტა-მარია-დე-კარიტას ეკლესიის კედელზე ეკიდა. ის იქ მას შემდეგ განათავსეს, როდესაც ეკლესია, რომლისთვისაც იყო შექმნილი სურათი, დაიწვა.

როდესაც 1982 წელს მიწისძვრამ აღნიშნული ეკლესია დააზიანა, მრევლმა ნახატი ადგილობრივ სომის ოჯახს გადასცა შესანახად. გადაცემა იყო ოფიციალური და ამის დამადასტურებელი საბუთები არქივშია შენახული. პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლები ოჯახში შენახული ნახატის მდგომარეობას რეგულარულად ამოწმებდნენ და მის მოვლაში ეხმარებოდნენ. მაგრამ 1990-იან წლებში რატომღაც შემოწმებები შეწყდა და ნახატი დაკარგული ნახატების სიაში მოხვდა.

ნახატს საარქივო საბუთების შესწავლისა და ქალაქ გრანიანოს მერის თანადგომის შემდეგ მიაგნეს. მან შუამავლის როლი შეასრულა ნახატის დაბრუნებაში.

– ეს ნაწარმოები, რომელიც სრულიად უცნობია ფართო საზოგადოებისთვის, სახელმწიფოს ჩარევის შედეგად მალე მუზეუმში იქნება გამოფენილი. ჩვენ ადმინისტრაციული წესებით ვმოქმედებდით, საქმეში პროკურატურის ჩარევის და ასევე ყოველგვარი დაპატიმრების გარეშე, ასევე ქალაქის მერის შუამდგომლობით, – განაცხადა კარაბინერთა განყოფილების ხელმძღვანელმა მასიმილიანო კროჩემ. ამავე დროს სომის ოჯახი ოფიციალურად ისევ ნახატის მცველად დარჩება.

ბოტიჩელის ნახატს ხანგრძლივი რესტავრაცია დასჭირდება, ვინაიდან მასზე დაზიანებულია საღებავები და აღინიშნება ნაკაწრები. რესტავრაციის შემდეგ კი ის ნეაპოლის ეროვნულ მუზეუმში იქნება გამოფენილი.

სპორტი

4 დეკემბერი
ფეხბურთი

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

სელტა-კადისი 1:1

საკუნინიო ცხრილი:

1.რეალი	15	12	2	1	33-9	38
2.ხირონა	15	12	2	1	34-18	38
3.ბარსელონა	15	10	4	1	28-14	34
4.ატლეტიკო	14	10	1	3	30-13	31
5.ბილბაო	15	8	4	3	30-18	28
6.სოსიედადი	15	7	5	3	26-18	26
7.ბეტისი	15	6	7	2	18-16	25
8.ლას პალმასი	15	6	3	6	13-13	21
9.ვალენსია	15	5	4	6	17-20	19
10.ხეტაფე	15	4	7	4	17-20	19
11.რაიო	15	4	7	4	16-22	19
12.ვილიარეალი	15	4	4	7	22-26	16
13.ალავესი	15	4	4	7	14-19	16
14.ოსასუნა	15	4	3	8	17-25	15
15.სევილია	14	2	7	5	20-20	13
16.კადისი	15	2	6	7	12-22	12
17.მალიორკა	15	1	8	6	13-20	11
18.სელტა	15	1	6	8	15-25	9
19.გრანადა	15	1	4	10	19-35	7
20.ალმერია	15	0	4	11	16-37	4

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ვილიარეალი ბ-ეიბარი 1:0

იტალია. სერია ა

ტორინო-ატალანტა 3:0

საკუნინიო ცხრილი:

1.ინტერი	14	11	2	1	33-7	35
2.იუვენტუსი	14	10	3	1	22-9	33
3.მილანი	14	9	2	3	24-15	29
4.რომა	14	7	3	4	28-16	24
5.ნაპოლი	14	7	3	4	26-17	24
6.ფიორენტინა	14	7	2	5	23-17	23
7.ბოლონია	14	5	7	2	16-11	22
8.ლაციო	14	6	2	6	15-15	20
9.ატალანტა	14	6	2	6	21-16	20
10.ტორინო	14	5	4	5	13-16	19
11.მონცა	14	4	6	4	15-14	18
12.ფროზინონე	14	5	3	6	20-24	18
13.ლეჩე	14	3	7	4	16-19	16
14.სასუოლო	14	4	3	7	21-26	15
15.ჯენოა	14	4	3	7	15-19	15
16.უდინეზე	14	2	8	4	12-20	14
17.ემპოლი	14	3	2	9	9-26	11
18.ვერონა	14	2	4	8	12-21	10
19.კალიარი	14	2	4	8	13-26	10
20.სალერნიტანა	14	1	5	8	10-28	8

ჰოკეგაღია. ჰიმეიჩა ღიგა

სპორტინგი-ჟილ ვისენტე 3:1

თუჩქეთი. სუპერლიგა

ფენერბახჩე-სივასი 4:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

კლაგენფურტი-ჰარტბერგი 1:1

დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-ვიბორგი 5:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

ქალმა მილიონი დოლარი ავადმყოფობის წყალობით მოიგო



აშშ-ში ხანდაზმული ქალი აფთიაქში წავიდა წამლების საყიდლად და მილიონი დოლარი მოიგო.

ბედმა ამერიკის ვირჯინიის შტატის მკვიდრ მერი ედვარდსს გაუღიმა. ქალი ავად გახდა და აფთიაქს მიაშურა, მისთვის ექიმის მიერ გამოწერილი წამლების შესაძენად. ადგილზე მისულმა კი გადაწყვიტა, მომენტალური გათამაშების ლატარიის ბილეთიც შეეძინა.

შეძენილ ბილეთზე დამცავი ფენის გადაფხეკის შემდეგ ქალი მიხვდა, რომ საკუთარი ავადმყოფობის წყალობით, ჯეკპოტის მფლობელი გახდა.

– ყოველთვის იმედოვნებ, რომ ეს მოხდება, თუმცა სინამდვილეში ამის არ გჯერა, – განაცხადა ქალმა.

ედვარდსმა საკუთარ წარმატებას ფანტასტიკური და დაუჯერებელი უწოდა. მას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში დახარჯავს მოგებულ თანხას.

გადაშენებულად მიჩნეული ოქროსფერი თხუნელა აღმოაჩინეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მეცნიერებმა ხელმეორედ აღმოაჩინეს თხუნელას სახეობა, რომელიც 1936 წლიდან გადაშენებულად ითვლებოდა.

უიშვიათესი ოქროსფერი თხუნელა, დე ვინტონა უკვე 80 წელზე მეტია არავის ენახა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ის არ გადაშენებულა. პატარა უსინათლო ცოცხალი ცხოველი, რომლის ბეწვს ოქროსფერი ბზინვარება დაჰკრავს, სამხრეთ აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე პორტ-ნოლოტეს პლაჟზე ნახეს. თხუნელა პრეტორიის უნივერსიტეტის გაქრობის პირას მყოფი ბუნების ფონდის მკვლევარების ჯგუფმა აღმოაჩინა.

სპეციალისტებმა დნმ-ის ნიმუშები ჯერ კიდევ 2021 წელს აიღეს, მაგრამ მათ 2022 წლამდე მოუხდათ ლოდინი, სანამ მათ სამხრეთაფრიკული მუზეუმი თხუნელა დე ვინტონის კანისა და ბეწვის ძველ ნიმუშებს გადასცემდა, ახალთან შესადარებლად. მეცნიერების სასიხარულოდ დნმ-ის ყველა მონაცემი დაემთხვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ბორჯღალოსნები მწვრთნელს ელიან და სამხრეთ აფრიკას ეთამაშებიან

ქართული რაგბი ორი ახალი ინფორმაციის დადასტურების მოლოდინშია. ერთი ის, რომ ბორჯღალოსნებს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლებათ; მეორე – ახალი მწვრთნელის ხელში ჩვენი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკას გაეჯიბრება.

დავიწყოთ მწვრთნელით: ფრანგული მედიის ინფორმაციით, ინგლისელი სპეციალისტი რიჩარდ კოკერილი საქართველოს ნაკრებთან კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებს.

52 წლის კოკერილი ბოლოს ფრანგულ მონპელიეში მუშაობდა, სხვადასხვა დროს კი, ლესტერი, ტულონი და ედინბურგი გაუწვრთნია, ხოლო 2021-23 წლებში ინგლისის ნაკრების შერკინებას ავარჯიშებდა.

თუ ფრანგულ მედიას ვენდობით, კოკერილი ამ კვირაშივე საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იქნება.

ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2024 წლის 20 ივლისს საქართველოს ნაკრები ტესტ-მატჩში მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკას გაეჯიბრება.

ამ ინფორმაციას უკვე იქაური ექსპერტი ჰენდრიკ კრონიე ავრცელებს. მისი ცნობით, სამხრეთ აფრიკა მომვალ წელს ექვს ტესტ-მატჩს გამართავს: ორჯერ ირლანდიას, ორჯერ ახალ ზელანდიას, თითოჯერ კი, საქართველოსა და არგენტინას გაეჯიბრება.

კვარას გოლი სერიალში საუკეთესოა

მილანში სერია ა-ს 2022-23 წლების გალა-დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც იტალიის ფეხბურთელთა ასოციაცია ატარებს.

მათი გადაწყვეტილებით, გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ნაპოლის ნიგერიელი ფორვარდი ვიკტორ ოსიმენი დასახელდა, ხოლო ხვიჩა კვარაცხელია სეზონის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრითა და სეზონის საუკეთესო გოლის პრიზით დაკმაყოფილდა.

კვარაცხელიამ პრიზი ატალანტას კარში გატანილი გოლისთვის მიიღო, ვისაც პრიზი იტალიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ფაბიო კვალიარელამ გადასცა.

ხვიჩა კვარაცხელია:

– მადლობა, რომ ხმა მე მომეცით. სხვა გოლებიც ძალიან ლამაზი იყო, არ ველოდი, რომ ასეთი ლამაზი გამომივიდოდა ეს გოლი, მხოლოდ გატანის მერე მივხვდი, რომ ასე იყო.

ცერემონიალს ნაპოლის მაშინდელი თავკაცი ლუჩანო სპალეტი ესწრებოდა, რომელიც სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა.

სეზონის გუნდი კი ასე გამოიყურება: მაიკ მენიო, ტეო ერნანდესი, ჯოვანი დი ლორენცო, ალესანდრო ბასტონი, კიმ მინ-ჯაე, სტანისლავ ლობოტკა, ჰაკან ჩალჰანოღლუ, ნიკოლო ბარელა, ხვიჩა კვარაცხელია, რაფაელ ლეაო, ვიკტორ ოსიმენი.

შეგახსენებთ, რომ თავად სერია ა-მ კვარაცხელია 2022-23 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელა.

ეროვნული ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი ჯოვინო ფლამარიონი გახდა

4 დეკემბერს, შერატონ მეტეხი პალასში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) ღონისძიება გაიმართა, სადაც გასული სეზონის საუკეთესოები დააჯილდოვეს.

სანამ დაჯილდოება დაიწყებოდა, სფფ-ს პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა ბათუმის დინამოს ჩემპიონობა და 100 წლის იუბილე მიულოცა, ხოლო ფოთის კოლხეთი 1913-ს – ეროვნულ ლიგაში დაბრუნება და 110 წლის იუბილე.

საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში წარდგენილნი ქუთაისის ტორპედოს ნახევარმცველი გიორგი არაბიძე, ასევე ბათუმის დინამოს შემტევები – ჯოვინო ფლამარიონი და პაატა ღუდუშაური იყვნენ. ხმების უმრავლესობით ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ჯოვინო ფლამარიონი გახდა, ვისაც ავტომობილის გასაღები გადასცეს.

საუკეთესო მეკარე საქართველოს ნაკრებისა და თბილისის დინამოს მეკარე გიორგი ლორია გახდა. ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ: როინ კვასხვაძე (დინამო ბთ) და ფილიპ კლიაიჩი (ტორპედო);

საუკეთესო მცველი ბათუმის დინამოელი მამუკა კობახიძე გახდა. ნომინატები: ნიკა სანდოხაძე (ტორპედო) და ალექსანდრე კალანდაძე (დინამო თბ);

საუკეთესო ნახევარმცველი გიორგი არაბიძეა. ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ მისივე თანაგუნდელი მერაბ გიგაური და გიორგი ზარია (დინამო ბთ);

საუკეთესო თავდამსხმელი ჯოვინო ფლამარიონია, ვისაც კონკურენციას თბილისის დინამოელები – დავით სხირტლაძე და ზორან მარუშიჩი უწევდნენ;

საუკეთესო ბომბარდირი ერთდროულად სამი ფეხბურთელი გახდა: ზორან მარუშიჩი, ზურაბ მუსელიანი (გაგრა) და ჯოვინო ფლამარიონი;

საუკეთესო მწვრთნელი ბათუმელთა თავკაცი ანდრეი დემჩენკო გახდა. ნომინანტები სტივ კინი (ტორპედო) და გიორგი მიქაძე (საბურთალო) იყვნენ;

სიმბოლური ნაკრები

მეკარე გიორგი ლორია (დინამო თბ);

მცველები: ვლადიმერ მამუჩაშვილი, მამუკა კობახიძე (ორივე დინამო ბთ), ალექსანდრე კალანდაძე (დინამო თბ), ლაშა შერგელაშვილი (ტორპედო);

ნახევარმცველები: მერაბ გიგაური, გიორგი არაბიძე (ორივე ტორპედო), გიორგი ზარია (დინამო ბთ);

თავდამსხმელები: ჯოვინო ფლამარიონი, პაატა ღუდუშაური (ორივე დინამო ბთ), დავით სხირტლაძე (დინამო თბ);

საუკეთესო გოლის ავტორი ცოტნე ფაცაცია გახდა, ვინაც თელავს გოლი საკუთარი ნახევრიდან გაუტანა;

ევროპის ჩემპიონატისთვის ადიდასი ახალ ბურთს ამზადებს

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, 2024 წლის ევროპის ჩემპიონატზე, ადიდასის მაღალტექნოლოგიურ ბურთებს გამოიყენებენ.



ბურთი აღჭურვილი იქნება მიკროჩიპით, რომელიც დაადგენს, მოხვდა თუ არა ფეხბურთელს ბურთი ხელზე. სისტემა კიდურების თვალთვალის ტექნოლოგიასთან ერთად იმუშავებს, ეს კი, რეალურ დროში მოთამაშეების 3□ ვიზუალური სურათების შექმნის საშუალებას იძლევა.

ჩიპი ბურთის დარტყმის ზუსტ დროსაც ჩაწერს, რაც მსაჯებს დაეხმარება დაადგინონ, იყო თუ არა თამაშგარე მდგომარეობა.

შეგახსენებთ, ევრო 2024 14 ივნისიდან 14 ივლ

ისის ჩათვლით გერმანიის 10 ქალაქში გაიმართება. ფინალურ ტურნირში 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. შესაძლოა, იქ საქართველოს ნაკრებიც ვიხილოთ, რომელიც მარტში ერთა ლიგის ფლეი ოფის მატჩებს ითამაშებს.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ) აღმასკომმა ჭიდაობის ფედერაციის საანგარიშო ყრილობასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც ჭიდაობის მმართველ ორგანოს ელდარ კურტანიძის მიმართ ქცევა არ მოუწონა.

სეოკის განცხადება:

– ჩვენთვის, ისევე როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ცნობილი გახდა ერთი უსიამოვნო და დამაფიქრებელი ინციდენტის შესახებ, რაც წინ უძღოდა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ამასწინანდელ საანგარიშო ყრილობას. როგორც ირკვევა, ყრილობაზე მისული ჩვენი სახელოვანი ფალავანი, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ორი ოლიმპიური მედლის მფლობელი ლუკა კურტანიძე არასასურველი სტუმარი აღმოჩნდა ფედერაციის ხელმძღვანელებისთვის. როგორც თვითონ ამბობს, როცა მან მოკრძალებით ითხოვა ყრილობაზე დასწრების უფლება, ჯერ ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ გეგეშიძემ, მერე კი გენერალურმა მდივანმა კარისკენ მიანიშნეს – აქ შენი ადგილი არ არის, ყრილობაზე არავის მოუწვევიხარო.

ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი სპორტისთვის თავდადებული და განსაკუთრებული დამსახურების მქონე პიროვნება, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, საქართველოს ოლიმპიელთა ასოციაციის თავმჯდომარე, ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენების კავალერი ყრილობის დარბაზში საპატიო სტუმრისთვის განკუთვნილ ადგილას დაესვათ, იქ შეკრებილი საზოგადოების თვალწინ ზურგი შეაქციეს და კარისკენ მიუთითეს.

ფედერაციის ხელმძღვანელთა ამ გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ვერ გაამართლებს ის ფორმალური მოტივი, რომ კურტანიძე ყრილობაზე მოწვეულთა სიაში არ ყოფილა და არც ის, რომ შესაძლო სტუმრობის თაობაზე ყრილობის ორგანიზატორები წინასწარ არ გაუფრთხილებია. ამ შემთხვევაში, არგუმენტად ვერ გამოდგება ვერც ყრილობის რეგლამენტი (თუ რომელიმე პარაგრაფი ამგვარს ითვალისწინებს) ან შესაბამისი მუხლი ფედერაციის წესდებისა (თუ ასეთი რამ წესდების რომელიმე მუხლით რეგულირდება). ამასთან ერთად, არსებობს ეთიკური და ზნეობრივი კანონები, ურთიერთობის წესი და ელემენტარული კეთილგონიერება, რომელიც გვავალდებულებს, პატივი ვცეთ და დავაფასოთ ერთმანეთი, გავუფრთხილდეთ თითოეული ადამიანის სახელსა და ღირსებას.

მით უმეტეს, თუ ამ ადამიანს გამორჩეული ღვაწლი აქვს ქართულ სპორტში, კონკრეტულად კი – ჭიდაობაში;

მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი არც თუ ისე დიდი ხნის წინ თავად ხელმძღვანელობდა ჭიდაობის ფედერაციას;

მით უმეტეს, თუ მისი დამსახურება ქართული სპორტის წინაშე, შესაძლოა, გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე იმ ყრილობაზე შეკრებილი ადამიანებისა;

ჭიდაობის ფედერაცია, ისევე, როგორც ამ სტატუსის მქონე ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია, არ გახლავთ რომელიმე კერძო დაწესებულება, რომელიც მოქმედებს კერძო ინტერესების შესაბამისად და აქვს შეზღუდული ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე. პირიქით, ფედერაციის სტატუსისა და ქართული სპორტისთვის ჭიდაობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ფედერაციის ხელმძღვანელობა მოვალეა, ერთგვარი ანგარიში ჩააბაროს გულშემატკივრებს, მათ შორის, ვეტერან ფალავნებს, იმ ხალხს, ვისი დამსახურებითაც ჭიდაობა ეროვნულ სპორტად იქცა საქართველოში. ჩვენ გვყავს მრავალი დიდი ჩემპიონი, რომელთა ცოდნა-გამოცდილება ძალზე მნიშვნელოვანია და გამოსაყენებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზით ჩამოცილებულია ფედერაციის მმართველობასაც და სამწვრთნელო საქმიანობასაც.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჭიდაობის ფედერაციის დღევანდელ ხელმძღვანელობას ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ჩვენი საზოგადოების, ქართული სპორტის გულშემატკივრების წინაშე აკისრია. ლუკა კურტანიძესთან დაკავშირებული სამწუხარო ამბავი ერთი ეპიზოდია ამ საერთო სურათში. სხვათა შორის, ფედერაციის ბოლო ყრილობა, როგორც ჩანს, დახურული აღმოჩნდა მედიისთვისაც, რომელსაც, სავარაუდოდ, ექნებოდა ლეგიტიმური კითხვები ჭიდაობაში დღეს არსებულ ვითარებასთან და არაერთი მიმართულებით პოზიციების დათმობასთან დაკავშირებით. მათ შორის, იმასთან დაკავშირებითაც, რომ პარიზის ოლიმპიური თამაშები კარს მოგვადგა, ჩვენ კი ჯერჯერობით მხოლოდ ორი ლიცენზიანტი გვყავს ჭიდაობაში.

ვფიქრობთ, საერთო საქმისთვის უკეთესი იქნებოდა, ფედერაციას არა მხოლოდ ლუკა კურტანიძე, სხვა ვეტერანი მოჭიდავეები და სპორტის ხელმძღვანელი სტრუქტურების წარმომადგენლებიც მიეწვია ამ ყრილობაზე, რათა ერთად გვემსჯელა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ოთხწლეულის უმთავრეს შეჯიბრებაზე – პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებულ გამოსვლას უკავშირდება.

სეოკ-ი იმედოვნებს, რომ ჭიდაობის ფედერაცია, მისი მმართველი ჯგუფი საღი გონებით შეაფასებს აქ გამოთქმულ ჩვენს გულწრფელ

გულისტკივილს და თუ ასე მოხდება, ამ ჯგუფს დასკვნის გაკეთება და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმაც არ უნდა გაუჭირდეს.

შეგახსენებთ, რომ ჭიდაობის აღმასკომის სხდომაზე ელდარ კურტანიძეს, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს, თამაზ გეგეშიძის განკარგულებით კარისკენ მიუთითეს და დასწრების უფლება არ მისცეს. ინფორმაცია ამის შესახებ ლუკა კურტანიძემ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 2. აღმოსავლური ტკბილეული; 3. დრამატული ნაწარმოები; 4. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 7. პოპულარული ტანსაცმელი; 9. ვრცელი უტყეო, ბალახოვანი ზონა; 12. ორთქლმავლის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 14. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 15. საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 17. ულტრა-ნაციონალური ორგანიზაცია პალესტინაში; 20. ძველებური კაჟიანი თოფი.

თარაზულად: 5. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 6. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. ტყვიის შემცველი მაღალხარისხოვანი ოპტიკური მინა; 13. იტალიური ლიქიორი; 16. გერმანიის პირველი იმპერატორი; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. საჭმელი სოკო; 21. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონებისგან შედგენილი მატარებელი; 22. რაიონული ცენტრი გურიაში; 23. ირლანდიის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბურგავსი; 2. დილემა; 3. რიქსდაგი; 4. ბირთვისი; 7. კათარზისი; 8. ესტაფეტა; 12. ლომბარდი; 14. კონკლავი; 16. ხაფანგი; 17. ინგლისი; 19. კოღო; 20. ალია.

თარაზულად: 5. მურყვამი; 6. დრიბლინგი; 9. ჯალიტა; 10. მწვადი; 11. ოტიტი; 13. გორდი; 15. მოჰერი; 18. ფაცხა; 21. კალვადოსი; 22. ნეოლითი; 23. კოლხეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დულცინეა; 2. ყალბი; 3. კვარიათი; 4. ხანუკა; 7. ოტიტი; 9. პრადა; 12. აკროტოფორი; 14. დილერი; 15. გრუბერი; 17. კონფუცი; 20. აბული.

თარაზულად: 5. მუკუზანი; 6. ტაკერნა; 8. ლიბრეტო; 10. ნატამალი; 11. ვეზირი; 13. კრიტიკა; 16. ჯანელიძე; 18. პორტო; 19. პუარო; 21. იბერია; 22. არსენალი; 23. კარცერი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

6 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი	— 2.6937
ევრო	— 2.9178
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	— 3.4032
100 რუსული რუბლი	— 2.9330

ამინდის პროგნოზი 6 დეკემბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერ შტეგენს ოპერაცია დასჭირდება

ბარსელონას გერმანელ მეკარეს მარკ ანდრე ტერ შტეგენს ოპერაცია დასჭირდება, რადგან მას კვლავ აწუხებს ზურგის ტკივილი და ბარსელონას სამედიცინო შტაბმა მას ოპერაციის გაკეთება ურჩია.

გერმანელმა მეკარემ უკვე გამოტოვა ბარსელონას რამდენიმე შეხვედრა და ოპერაციის გაკეთების შემთხვევაში, მას, სავარაუდოდ, 2 თვეზე მეტი მოუწევს უქმად ყოფნა. ტერ შტეგენის ადგილი ინაკი პენამ დაიკავა, რომელმაც უკვე რამდენიმე კარგი შეხვედრა ჩაატარა.

ლუის სუარესმა, შესაძლოა, კარიერა დაასრულოს

გრემიოს ურუგვაელმა ფორვარდმა ლუის სუარესმა, შესაძლოა, კარიერა დაასრულოს, რადგან მას მუდმივად აწუხებს ტკივილი მუხლის არეში და უკვე დიდი ხანია ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობს.

სუარესმა კარიერის დიდი ნაწილი ლივერპულსა და ბარსელონაში გაატარა და სწორედ იქ გაითქვა სახელი. ურუგვაელმა ფორვარდმა თქვა, რომ თავისი მომავლის შესახებ გადაწყვეტილებას მალე მიიღებს.

ხვიჩა კვარაცხელიას გოლი სეზონის საუკეთესო გოლად აღიარეს

მილანში დაჯილდოება გაიმართა, სადაც იტალიის ჩემპიონატის გასული სეზონი შეაჯამეს და ყველა ნომინაციაში დაასახელეს გამარჯვებული. საუკეთესო გოლად ხვიჩა კვარაცხელიას გოლი აღიარეს, რომელიც მან ატალანტას წინააღმდეგ გაიტანა, ხოლო საუკეთესო მწვრთნელი კი ლუჩიანო სპალეტი გახდა, რომელიც ამჟამად უკვე ნაპოლიში აღარ მუშაობს.

დაჯილდოებაზე ნაპოლი თითქმის მთელი გუნდით იმყოფებოდა და გუნდის სხვა ფეხბურთელებმაც მოიგეს ჯილდოები.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„ცეკვავენ ვარსკვლავებს“ არსენ გვენეტაძე გამოეთიშა

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე საკონკურსო ტური წარუმატებელი ექიმ არსენ გვენეტაძისთვის აღმოჩნდა. მან და მისმა მეწყვილემ ნიცა ციბაძემ შოუ დატოვეს. მათთან ერთად ყველაზე ცოტა ხმები ჯასმინ კარიზისა და ირაკლი ძაძამიას წყვილმა მიიღო.

შედეგების გამოცხადებამდე არსენმა მომდევნო ტურში ცეკვის შანსი ჯასმინს დაუტოვა და პროექტი საკუთარი სურვილით დატოვა.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე ეპიზოდში ჟიურის წევრებისაგან ყველაზე მაღალი ქულები თედო ბექაურმა და ანა ბირთველიშვილმა მიიღეს. მაღალი შეფასება დაიმსახურა ემრე კიზილირმაკისა და ელენე დავითაიას წყვილმაც.

დუეტ „ჯორჯიას“ კონცერტზე დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდულია

12 დეკემბერს დუეტი „ჯორჯია“ 15 წლის იუბილეს თ. ილისის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტით აღნიშნ. ;ს. რატი დურგლიშვილი და მაკა ზამბახიძე სპეციალური სა ონცერტო პროგრამით წარსდგებიან მსმენელის წინაშე. კო ცერტზე დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდულია.

რატი დურგლიშვილი, მომღერალი:

– 2250 მადლობა, ჩემო სიყვარულო ადამიანებო, მეამაყებით. მიყვარხართ და მოუთმენლად გელით დიდი სიყვარულით. ასევე დიდი მადლობა, ვინც ვერ შეძელით და სურვილი გქონდათ.

ყველა ბილეთი გაყიდულია! გელოდ

ებით დუეტ „ჯორჯი.“ პირველ სოლო კონცერ ზე 15 წლის იუბილის აღსანიშნად. ულრმესი მადლობა, ჩვენო ერთგულო ადამი ნ ო, თანადგომისა და სიყ ულისთვის!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მედეა ამირანაშვილი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს

ოპერის ლეგენდარული მომღერალი მედეა ამირანაშვილი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. მისი უკანასკნელი განსასვენებელი დედის, ოპერის ლეგენდარული მომღერლის ნადეჟდა ცომაიას გვერდითაა.

მედეა ამირანაშვილი 93 წლის ასაკში გარდაიცვალა. სოპრანო უკანასკნელ გზაზე ზაქარია ფალიაშვილი სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან გააცილეს. მედეა ამიორანაშვილს პატივი მიაგეს მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა, მთავრობის წევრებმა, რიგითმა მსმენელებმა.

– მშვიდობით, მედიკო დედიკო, – ასე გამოემშვიდობა მსახიობი ია ფარულავა ოპერის ლეგენდარულ მომღერალს და განმარტა, რომ მედეა ამირანაშვილი მამამისის, მოქანდაკე ავთანდილ ფარულავას პირველი მეუღლე იყო, ამიტომაც ის და მისი ძმა ქალბატონ მედეას სიყვარულით მედიკო დედიკოს ეძახდნენ.

დათო ხუჯაძემ „ჯანაია“ ახლებურად ჩაწერა

მომღერალმა დათო ხუჯაძემ სიმღერა „ჯანაია“ ახლებურად ჩაწერა და მეწყვილედ თურქი მომღერალი აიდოღან თოფალი შეარჩია. სიმღერის არანჟირება აღმოსავლურ სტილშია გაკეთებული და ქართულ-თურქულად სრულდება. ვიდეორგოლი მომღერლებმა სტამბულში გადაიღეს და მისი პრეზენტაციაც გამართეს.

პირველად დათო ხუჯაძემ „ჯანაიას“ დუეტი რუს მომღერალთან ლიგალაიზთან ერთად ჩაწერა და ის ქართულ-რუსულად სრულდებოდა.

კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის მიერ ფილმისთვის „ქეთო და კოტე“ დაწერილი სიმღერის ორივე ვერსია მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

კახა გრიგალაშვილი სცენაზე ყოფნის 40 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს



ანსამბლ „ქართული ხმების“ ერთ-ერთი გამორჩეული წევრი, მომღერალი კახა გრიგალაშვილი სცენაზე ყოფნის 40 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს.

„თბილისური საღამო გრიგალასთან ერთად“ – ასე ჰქვია საღამოს, რომელიც 8 დეკემბერს ვახტანგ სარალიძის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართება. კახა გრიგალაშვილის სასიმღერო კარიერა ზუსტად 40 წლის წინ პიონერთა სასახლეში დაიწყო, როგორც ვოკალურ, ასევე სხვადასხვა წრეებზე – ინსტრუმენტებზე – დრამი, ფორტეპიანო... მუსიკალური შვიდწლედის დასრულების შემდეგ, სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯში საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე სწავლობდა. თემურ ქევხიშვილის საბავშვო სტუდიისა და ანსამბლ „დარიალის“ სოლისტი გახდა და მისი ნიჭიერების შესახებ კიდევ უფრო ბევრმა ადამიანმა გაიგო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ ანსამბლ „უნივერსიტეტის“ წევრი და სოლისტი გახდა. მას შემდეგ, რაც დიდმა „ქართულმა ხმებმა“ სახელი გადაულოცეს, მომღერალი ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტია.

კახა გრიგალაშვილი, მომღერალი:

– მართლა 40 წელია ფილარმონიის და არა მარტო ფილარმონიის სცენაზე ვდგავარ. წინა აფიშაზე ასეც ეწერა „40 წელი სცენაზე“ და ზოგიერთს ეგონა, რომ მონაწილეები იქნებოდნენ სულიკო კოროშინაძე, რობერტ ბარძიმაშვილი, ახალგაზრდა ბუბა კიკაბიძე, გენო ნადირაშვილი აბიტურიენტი ნანი ბრეგვაძე. ვინც ჩამოვთვალე და გამომრჩნენ, ყველას გაუმარჯოს! ჩასწორდა რაღაცები. გელოდებით მთელი გულით 8 დეკემბერს!

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 2. ხელოვნურად გაშენებული ნარგავი ტყე; 3. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. მსხვილად დაფქული სიმინდის ფქვილი; 7. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი თვალი; 8. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 12. წყალში გაზავებული ამიაკის ხსნარი; 14. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 16. საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში; 17. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 19. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 20. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა.

თარაზულად: 5. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 6. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 9. შტატი აშშ-ში; 10. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 11. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 13. საჭმელი სოკო; 15. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 18. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 21. ქართველი მხატვარი მამაკაცი – გობელენისტი; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 23. გულუბრყვილო, უეშმაკო ადამიანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა